პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილის.
კომიტეტის
და სრ. საქ. მ, გ. წ.-ა.
და მაგრ. დეპ. საბ.
ცაკის
ორგანო.

რედაქცია: ამიერკ. კრუზენ. ქ. № 4, მე 8 სართული.
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ., № 14 მე-2 სართული ტელეფ. № 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

დღიური

— ბუდაპეშტში 15 წლის ციხე გაუ[illegible] კომუნისტს—ლეიშტს.

— ფაქტას კაბინეტს განზრახული აქვს გადადგომა, ფაშისტების ულტიმატუმის გამო, რომლითაც ფაშისტები მოითხოვენ პარლამენტის გაშვებას და ახალი არჩევნების მოხდენას.

— შანცერი დაჟინებით მოითხოვს რუსეთის და ბულგარეთის მოწვევას სამშვიდობო კონფერენციაზე.

№ 242 შაბათი, 21 ოქტომბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 242

რეაქცია გერმანიაში

ის სისხლის მღვრელი შეტაკება, რომელიც ამას წინედ მოხდა ბერლინის ქუჩებში მუშებსა და შავრაზმელებს შორის, ფრიად დამახასიათებელია იმ რეჟიმისათვის, რომელიც დამყარებულია გერმანიაში სოციალ-გამცემლების წყალობით. ამასთან ეს ფაქტი მოწმობს, თუ რა ზომამდეა იქ გამწვავებული კლასთა ბრძოლა, რომელიც ხშირად პირდაპირ სამოქალაქო ომის ხასიათს ღებულობს.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, თუ რა ფაქტებს ჰქონდა ადგილი ბერლინში ამ ბოლო დღეებში. როგორც იყო, გერმანიის სახელმწიფო სასამართლომ დაამთავრა რატენაუს მკვლელების საქმე და გამოიტანა განაჩენი, რომლის მიხედვით ოთხ ბრალდებულს მიუსაჯა საერთო ჯამით 83 წელი კატორღა, 6 ბრალდებულს—9 წლით დაპატიმრება.

თავისთავად ცხადია, სხვა და სხვა ნაირად შეაფასეს ასეთი განაჩენი გერმანიის საზოგადოებრივმა ჯგუფებმა და მათმა პრესამ.

კომუნისტური „როტე ფანე" წერდა: „რატენაუს მკვლელობის გამო პროცესის მთელი მსვლელობა ალაშფოთებს თვით მართლ მორწმუნე სოციალ დემოკრატსაც": ისეთი მსუბუქად გამოტანილი სასჯელი დანაშაულობის სიმძიმესთან შედარებით გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიის ორგანო „ფორვერტს"-ი ამბობს: „მინისტრის მკვლელობა საკმაოდ იაფად დაჯდა. გადაწყვეტილი სასჯელი ჟანდარმების ცემისათვის თუა საკმარისი. ყველა სასჯელი, რომელიც გამოიტანა სახელმწიფო სასამართლომ საოცრად მსუბუქია, და საზღვარ-გარეთის დემოკრატია, ალბად, ვერ შესძლებს ახსნას, თუ როგორ მოხდა, რომ რესპუბლიკის დაცვის კომისიის მიერ დანიშნულმა მოსამართლემ ასეთი მსუბუქი სასჯელი გადაუწყვიტა ბრალდებულთ".

ჩვენ ასე ვრცლად მოვიყვანეთ „ფორვერტს"-ის სიტყვები, რათა მკითხველმა დაინახოს მთელი თვალთმაქცობა იმ პარტიისა, რომლის აზრების გამომხატველია ეს გაზეთი. ვინ არ იცის, რომ შეიდემანელები და „დამოუკიდებელნი" არიან მთავარი პასუხისმგებელნი გერმანიაში ამჟამად არსებულ რეჟიმის, რომლის ხასიათი, სხვათა შორის, რატენაუს მკვლელების პროცესმაც ერთხელ კიდევ ზედმეტად გამოაშკარავა.

და თუ ისინი ამ პროცესის შედეგების გამო გამოსთქვამენ გაკვირვებას და უკმაყოფილებას, ესაა ხრიკი მუშათა კლასისათვის თვალის ახვევად, მისთვის თავის ნამდვილ ვინაობის დასაფარავად. თუ ვინმე სამარცხვინო ბოძზე არის გასაკრავი ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა თვით ეს შემთანხმებელი „სოციალისტები", და მათ, რომ შესწევდეთ მოქალაქობრივი გამბედაობა და გააჩნდეთ პასუხისმგებლობის ელემენტარული გრძნობა, თავიანთი მისამართით უნდა ილაპარაკონ, და არა ისე ზოგადად, თითქო ისინი აქ არაფერ შუაში იყვნენ.

სულ სხვა გვარად მსჯელობს მონარქიული პრესა. ის ერთხმად პროტესტს აცხადებს ბრალდებულთა ასეთი დასჯის გამოც. მისი აზრით, ეს მკვლელები ნაციონალური გმირებია, რომელნიც ღირსნი არიან პატივისცემის, და არა დასჯის.

მონარქისტები არ დაკმაყოფილდნენ თავის შეხედულების გამომჟღავნებით მარტო პრესის საშუალებით. მათ მოაწყვეს ბერლინში საპროტესტო მიტინგი. მიტინგზე გამოცხადნენ მუშებიც, ამაზე გაფრთხილებულნი „როტე ფანე"-ს მიერ. აქ ქუჩაში მუშებს და მონარქისტებს შორის გაიმართა ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა, რომელიც ერთ საათზე მეტს გრძელდებოდა. ბევრია მოკლულ-დაჭრილი. ყველაზე უფრო აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შავრაზმელებს მიეხმარა პოლიცია, რომელიც დაერია რევოლიუციონურ მუშებს და კომუნისტებს. მაშინ როცა შავრაზმელებისათვის ხელიც არ უხლიათ, დააპატიმრეს კომპარტიის თვალსაჩინო წევრები და მუშები. კომუნისტებს აპატიმრებდნენ შემდეგ დღეებშიაც. მონარქისტების და პოლიციის თავგასულობა ამით არ შეჩერებულა. შავრაზმელებმა, როგორც დღევანდელი რადიო იუწყება, 18 ოქტომბერს მოაწყვეს დამცველ პოლიციასთან ერთად დემონსტრაცია. ისინი დასცინოდნენ მთავრობის პოლიტიკას; შეურაცხყოფას აყენებდნენ რევოლიუციონურ მუშებს, იმუქრებოდნენ შეიარაღებული აჯანყებით. შავრაზმელებმა თავიანთ კრებაზე მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც პრეზიდენტის მომავალ არჩევნებზე მოითხოვენ ჰინდენბურგის კანდიდატურის წამოყენებას. უკანასკნელი ცნობებით, კომუნისტების დაპატიმრება ისევ გრძელდება.

ამგვარად, რეაქციონერებმა სავსებით აიშვეს თავი, ისინი ისევ ემზადებიან მონარქიულ გადატრიალებისათვის, ცდილობენ გაანადგურონ კომუნისტური პარტია, როგორც მთავარი და შეურიგებელი მებრძოლი ძალა მათი შავი ზრახვების განხორციელების წინააღმდეგ.

რა როლს თამაშობს ასეთ ვითარებაში ე. წ. გაერთიანებული ს.-დემოკრატიული პარტია?

ჩვენ გვახსოვს, რომ რატენაუს მკვლელობასთან დაკავშირებით სოციალ-გამცემლები ბევრს გაიძახოდნენ, რომ გასწმენდდენ მმართველობის აპარატს მონარქიულ ელემენტებისაგან, შავრაზმელებს საშუალებას არ მისცემდნენ თავისუფალ მოქმედებისას და საერთოდ მტკიცედ დაიცავდენ რესპუბლიკას.

მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ ამის მხრივ ფაქტიურად არაფერი გაკეთებულა.

ადმინისტრატიული აპარატი, პოლიცია, ჯარი, სასამართლო ხელუხლებელი დარჩა. ეს „მბრძანებელი მაღლობები" სავსებით უპყრია ხელთ ისეთ ელემენტებს, რომელნიც მუდმივ ოცნებობენ ძველი რეჟიმის რესტავრაციაზე, მხოლოდ უცდიან საამისოდ ხელსაყრელ მომენტს.

ამასთან შავრაზმელების თავისუფალ მოქმედების აკრძალვის შესახებ დაპირება დაპირებად დარჩა. ისინი ძველებურად მართავენ კრებებს, დემონსტრაციებს, აწყობენ ორგანიზაციებს და სხ. ამის დამადასტურებელია მათი უკანასკნელი თავხედური გამოსვლებიც. ამავე დროს კი მთავრობა სასტიკ რეპრესიებს აწარმოებს რევოლიუციონურ მუშათა კლასის და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. მთავრობის პოლიცია შავრაზმელებთან ერთად მათ დაუზოგველად დევნის.

რესპუბლიკის დაცვის კანონი, რომელსაც უნდა აელაგმა მონარქისტები, სავსებით მიმართულია რევოლიუციონური პროლეტარიატის და მისი ხელმძღვანელი—კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. და ყველაფერ ამას სჩადის ის მთავრობა, რომელშიც შედიან „გაერთიანებულ სოციალ დემოკრატიის" წარმომადგენლები.

ესაა ბურჟუაზიის და შემთანხმებელ პარტიების ერთიანი ფრონტი მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, რომელიც დღითი დღე ძლიერდება და მოსვენებას არ აძლევს გერმანიის დღევანდელ ბატონ პატრონებს. ეს შავ ყვითელი ბლოკი აშკარად გადასული შეტევაზე პროლეტარიატის წინააღმდეგ, მოწადინებულია ჩაახრჩოს ის სისხლში, და ამით რამოდენიმედ მაინც გადასდოს თავის აუცილებელ განადგურების მომენტი.

გერმანიის რევოლიუციონური პროლეტარიატი მზად არის გამოწვევა მიიღოს და ღირსეული პასუხი გასცეს თავის მოსისხლე მტრებს. ის შავრაზმელების თარეშს საზღვარს დაუდებს. პროლეტარიატი ერთიანი ფრონტით გამოვა რეაქციონერების და მათი დამქაშების ასალაგმავად, რათა თვითონ ჩაიგდოს ხელში ძალა-უფლება და საბოლოოდ გაუსწორდეს ანგარიში თავის მტრებს და მოღალატეებს.

ამის თავდებია გერმანიაში მომხდარი უკანასკნელი ამბებიც. ამის საწინდარია ის უმანკო სისხლი, რომელიც დაღვარა ბერლინის რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა შავრაზმელებთან შეტაკების დროს.

ახალი გზით

ევროპის რეალურ ძალთა ურთიერთობაში არასოდეს არ ყოფილა ისეთი გადაჯგუფება, როგორც დღეს.

ეს განსაკუთრებით ითქმის ბურჟუაზიაზე, რომელიც ამ ჟამად იმყოფება არა მარტო გადაჯგუფების ხანაში, არამედ განიცდის დაქუცმაცების, დაშლის და შინაგანი რღვევის პროცესს. დღეს მისი ორიენტაცია სავსებით მიყრდნობილია ბურჟუაზიულ პარლამენტიზმის რკალში და სულდგმულობს ლიბერალურ-სოციალისტურ კოალიციის ნაწილით: ეს გარემოება უდიდეს გავლენას ახდენს შემთანხმებლებზე, რომლებიც სავსებით ჩაფლულნი არიან მის ორბიტაში და არაჩვეულებრივი სისწრაფით ითქვიფებიან იმათ ჯგუფში, ვინც მოხერხებულად, დაფიქრებულად, პირდაპირ გასაშტერებელი ენერგიით აწარმოებს „ჯოხის გადაღუნვის" პოლიტიკას. ამიტომ სრულიად არ იქნება გასაკვირველი თუ ჩვენ უახლოეს ხანში მოწამენი გავხდებით უნიონისტთა შესაძლებელ ბატონობის შემდეგ ლიბერალთა და ლეიბურისტების კოალიციონური მთავრობისა.

ცხადი და ნათელია, სრულიად უდავოა ის გარემოება რომ მსოფლიოს სივრცეზე ძალთა დაჭიმვა ხდება ორი უკიდურესი მიმართულებისაკენ; ეგრედ წოდებული ცენტრიზმი სავსებით გაკოტრდა და მაქსიმალიზმთან ერთად ბარგდება ბებერ ისტორიის არქივს.

ასეთია ბედი ყველა მათი, ვინც წაჯიქ-უკუჯიქობის ნაცარქექიობიდან გარდაუვალ ქაოსის კედლებს ერეკებოდა!

ამის საუკეთესო მაგალითს ამ ჟამად იძლევა იტალიის სოციალისტური პარტიის უკანასკნელი განხეთქილება და გერმანიის დამოუკიდებელთა გათქვეფა „ფორვერტსის" გარშემო შემოკრებილ მენშევიკთა ვაქხანალიაში.

იტალიის სოციალისტურ პარტიის განხეთქილებამ დაარსა ორი პარტია, რომელშიაც ყოფილ რეფორმისტებს ამიერიდან დაერქვა უნიტარისტები. ეს რიგია უბრალო მოვლენა, რადგან ამ უკანასკნელთ სრული საშვალება ეძლევათ ალღირი აიხსნან და ხელი-ხელჩაკიდებული ითანამშრომლონ კათოლიკებთან და, წარმოიდგინეთ, ფაშისტებთანაც კი. ტურტისტურცო მუსოლინი — აი შედევრი იტალიის სოციალისტურ პარტიის მუცელზე ხოხვის პოლიტიკისა.

არავინ იფიქროს, რომ ფაშისტების ლიდერის მუსოლინის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ გადადგეს იტალიის მთავრობა და ძალაუფლება გადაეცეს ფაშისტებს—უბრალო, ლიტონი სიტყვა იყოს.

არასოდეს.

ჯერ კიდევ გასულ წელს ჩვენ ვამბობდით, რომ კომინტერნში იტალიის ახალგაზრდა კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ სერატის მიერ დაჭერილი მაქსიმალისტური პოზიცია და ტურატის ცენტრიზმი—დაღუპვის კარამდი მიიყვანდა ორივე მიმართულებას და, პირიქით, ზედმეტ წყალს დაასხამდა რეაქციის წისქვილის ბორბლებს. სამწუხაროდ, ეს გამართლდა, და გამართლდა მწვავე მაგალითებით, მწვავე გამოცდების შემდეგ.

ამავე დროს ომის შემდეგ დაბადებულ სოციალიზმის კუზიანი პირმშო ორნახევარი ინტერნაციონალი უკვე სავსებით გადაიქრა სამარეში და აუქსბურგის ყრილობაზე გაითხარა საკუთარი ხელით ღრმა საფლავი. მით უკეთესი მუშათა კლასისათვის, მით უარესი იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინედ მამლაყინწური ყოყოჩობით გაიძახოდა „სოციალისტურ ფრონტის ერთიანობაზე კერძო ქვეყნებში და ინტერნაციონალში", ხოლო ამავე დროს მარცხენა ხელით აქარწყლებდა მარჯვენას მიერ დაწერილს.

გერმანიის დამოუკიდებელთა პარტია ერთი მთავარი მაცოცხლებელი ელემენტი იყო ვენის ინტერნაციონალისა და რაკი ის გამოეშალა ამ ლეშს—არსებითად გადაწყდა უკანასკნელის ბედიც. ამიერიდან აღარ არსებობს გერმანიის დამოუკიდებელთა პარტია, რადგან ის გაერთიანდა შეიდემანთა წუმპეში. ამნაირად არსებითად წყდება მეორე ნახევარ ინტერნაციონალის ბედიც.

ყოველივე ეს ნათლად უნდა წარმოიდგინოს მუშათა კლასმა და აქედან სათანადო დასკვნა უნდა გააკეთოს.

შუა ელემენტი ქრება და რაკი მისი ძალები ბარიკადის მეორე მხარეზე გადადიან, მუშათა კლასმა უნდა გაამაგროს თავისი ბარიკადები.

ნ. ტოგო.

ღარიბ გლეხთა შორის ურთი-ერთ დამხმარე კასების მოწყობა

საბჭოთა ხელისუფლებას ახასიათებს და ანსხვავებს საერთოდ სხვა ხელისუფლებისაგან, მიზანი და შინაარსი მისი მუშაობისა, რომელიც გამოიხატება არა მარტო დანგრეულ მეურნეობის აღდგენაში, აღმშენებლობაში, არამედ ძველი დახავსებული ფორმების და ურთიერთობის ძირიან-ფესვიანად შეცვლაში. კულტურული მუშაობა, განათლების გავრცელება და მშრომელების მომავალი წესწყობილებას-კომუნიზმისათვის მომზადება—აი უმთავრესი შინაარსი საბჭოთა ხელისუფლების მუშაობისა. სხვა ყველაფერი არის ამ საქმის დამხმარე და იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენად მას ხელს უწყობს და შველის. ამ მიზნის მიღწევისათვის მუშაობის დროს, უნდა მივიღოთ მხედველობაში მუშაობის ობიექტის სხვა დასხვაობა. ერთი მხრივ ქალაქის მშრომლები და მეორე მხრივ სოფლის მშრომელი გლეხობა. ამ უკანასკნელის ჩამორჩენილობა აუცილებლად ჰქმნის მათში მეტ მუშაობას, მეორე მხრივ გლეხობა წარმოადგენს წვრილ კერძო მესაკუთრეებს, რაიც მოითხოვს მათში მუშაობის სხვა ფორმას, ვიდრე ქალაქში.

ჩვენ სოფლებში უმეტეს ნაწილს შეადგენს ღარიბი გლეხობა და უმცირეს კი მდიდრები (კულაკები). ხშირია შემთხვევები, როცა ღარიბები მდიდრების დამოკიდებულებაში ვარდებიან როგორც მატერიალურად ისე მორალურადაც. სხვადასხვა გაჭირების დროს ღებულობენ მათგან სესხს (ხორბალი, ფული და სხ.) ყველაზე უფრო გავრცელებულია ხორბლის სესხად აღება და მომავალ მოსავლიდან მისი ერთი-ორად გასტუმრება. ამ მოვლენას თავის დროზე მიექცა ყურადღება და მთავრობის დეკრეტით ეს დავალიანება გაუქმებული იქნა. მაგრამ, ეს ერთდროული ზომა იყო, პალიატივი. შემდეგში მდიდარი გლეხობა ამას მხედველობაში მიიღებს და არაფრის გულისათვის ხორბალს აღარ გაასესხებს, ან და თუ გაასესხა, ამით ის უფრო მეტ დამოკიდებულებაში ჩაიგდებს ღარიბ გლეხს, ვიდრე აქამდე. ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება და ჩვენი ცდა და მუშაობა მისკენ უნდა მიიმართოს, თუ როგორ გამოვგლიჯოთ ღარიბი გლეხობა მდიდრების კლანჭებისაგან. პერიოდულად მთავრობის განკარგულებებით სესხის გაუქმება არაფერს არ უშველის. მაშასადამე, საჭიროა ისე მოვაწყოთ საქმე, რომ ღარიბ გლეხობას სრულებით არ დასჭირდეს მდიდართან მისვლა. ეს შეიძლება ღარიბ გლეხთა შორის ურთი ერთ დამხმარე კასების მოწყობით. ფასების საშუალება იქნება წევრების გადასახადი (ნატურით), უმთავრესად კი საფონდო მიწების მოსავლის ნაწილი და სხვ. ამრიგად შეგროვებულ ფონდიდან უნდა ხდებოდეს დახმარების გაცემა, რაც მისცემს საშუალებას ღარიბ გლეხს გაჭირვების და სხვა უბედურების დროს მდიდრისგან სესხი არ აიღოს. ამ მხრივ ჩვენ მაგალითი უნდა ავიღოთ საბჭოთა რუსეთისაგან, სადაც რამოდენიმე თვის წინად დაიწყო კამპანია სოფლებში ღარიბ გლეხთა შორის ურთი ერთ დახმარე კასების მოსაწყობად. ჩვენში ჯერ ჯერობით არაფერი გაკეთებულა, გარდა ცენტრალურ აღმასკომის მიერ დადგენილების გამოქვეყნებისა, რომელიც ავალებს შრომის კომისარიატს ასეთი კასების მოწყობას. უნდა გულახდილად ვსთქვათ, **რომ შრომის კომისარიატს ამ საქმესთან არავითარი საერთო არა აქვს**, ვინაიდან ურთიერთ დამხმარე კასები უწევენ დახმარებას გლეხებს, სათესლე მასალით სასოფლო მეურნეობის ინვენტარის ყიდვით და სხ., რომელიც მიწად-მოქმედების კომისარიატის საქმეა. თუ მივიღებთ აგრეთვე მხედველობაში, რომ დამხმარე კასების უმთავრეს საშუალებას წარმოადგენს საფონდო მიწების მოსავლის ნაწილი, ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ **ეს საქმე აუცილებლად უნდა გადაეცეს მიწად მოქმედების კომისარიატს**, რომელსაც შეუძლია დამხმარე კასების ორგანიზაციის ჩატარება ადგილობრივ მიწად-მომწყობის კომისიების საშუალებით.

ამ საქმის საჩქაროდ მოგვარება აუცილებელია, ვინაიდან თუ ღარიბი გლეხები მდიდრების (სოფლის კულაკების) დამოკიდებულებიდან არ დავიხსენით, ისე სოფლად საბჭოთა ხელისუფლების მუშაობა არ იქნება ნაყოფიერი.

ხ. გოლაბერიძე.

კომინტერნში

კომინტერნის აღმასკომი ესალმება სენის ფედერაციის გადაწყვეტილებას.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ სენის დეპარტამენტის ფედერაციამ, საფრანგეთის კომუნისტურ პარტიის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანმა ფედერაციამ, პირველმა დაამარცხა კრიზისი, რათა დამდგარიყო ნამდვილ კომუნიზმის გზაზე. გადასწყვიტა რა რაულ ვერფეილის გამორიცხვა, სენის დეპარტამენტის ფედერაციამ დაამტკიცა, რომ მას სურს ბრძოლა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც წვრილ ბურჟუაზიულ სოციალისტების წინააღმდეგ, რომელნიც დარჩენ კომუნისტურ პარტიის შიგნივ. იტალიის რეფორმისტების წინამძღოლმა დარაგონამ ამას წინად განაცხადა, რომ ის და მისი მეგობრები რჩებიან სოციალისტურ პარტიაში მხოლოდ იმისათვის, რათა იბრძოლონ რევოლიუციის წინააღმდეგ. ეჭვს გარეშეა ვერფეილიც დიდხანს დარჩა საფრანგეთის კომუნისტურ პარტიაში იმავე განზრახვით.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი მხურვალედ მოუწოდებს ყველა ფედერაციებს მტკიცედ განაგრძონ სვლა იმ გზით რომელზედაც შედგა სენის დეპარტამენტის ფედერაცია. თუ საფრანგეთის კომუნისტური პარტია არ ჩამოიშორებს რეფორმისტებს და ანტიკომუნისტებს, ის ვერასოდეს ვერ შესძლებს იმ დიდი მისიის შესრულებას, რომელსაც მას ისტორია აკისრებს.

საფრანგეთის კომპარტიის პარიზის ყრილობას

საფრანგეთის კომპარტიის პარიზის ყრილობის გახსნის წინა დღით, მდგომარეობა პარიზში იმდენად გართულდა, რომ კომინტერნის აღმასკომი იძულებულად სთვლის თავს უკვე გამოქვეყნებულ დოკუმენტებს დაუმატოს შემდეგი:

1) კომინტერნის აღმასკომი სთხოვს პარიზის ყრილობას მოახდინონ სპეციალური კენჭის ყრა 21-ე მუხლის შესახებ, რომელიც მიღებულია კომინტერნის მეორე მსოფლიო კონგრესზე. საფრანგეთის კომპარტიისათვისაც და მთელი კომინტერნისათვისაც უმჯობესი იქნება შეტანილ იქნეს ამ საკითხში სრული სიცხადე.

თავის თავად ცხადია, რომ თუ საფრანგეთის კომპარტიას სურს წინადადება მისცეს მე-4 კონგრესს რათა ამ უკანასკნელმა ესა თუ ის ცვლილება შეიტანოს 21-ე მუხლში პარიზის ყრილობას აქვს ამის სრული უფლება. პარიზის ყრილობის თვითეულ წინადადებას მე 4 კონგრესი დიდის ყურადღებით და ზედმიწევნით განიხილავს.

2) იმის გამო, რომ ცენტრის ძველი შემადგენლობის უმრავლესობამ, კომინტერნის აღმასკომისათვის მოულოდნელად, არ გამორიცხა პარტიიდან ვერფეილი და მისი დამქაშები, მათი უკანასკნელი ანტიკომუნისტური გამოსვლების შემდეგ,—კომინტერნის აღმასკომი იძულებულია განუცხადოს პარიზის ყრილობას, რომ იგი აღარ სთვლის კომინტერნის წევრად რაულ ვერფეილს და იმათ, რომელთაც ხელი მოაწერეს პარტიისადმი ცნობილ მოწოდებას, რომელიც იწყება შემდეგი სიტყვებით: „ასეთი მდგომარეობა პარტიისათვის მომაკვდინებელია".

ამ მოწოდების შინაარსი სავსებით ადასტურებს კომინტერნის აღმასკომის წინანდელ განცხადებას, იმის შესახებ, რომ რაულ ვერფეილი და მისი დამქაშები არიან უკიდურესი მტრები კომუნიზმისა, თუ ისინი დარჩებიან საფრანგეთის კომპარტიაში, მხოლოდ იმისათვის, რომ მოახდინონ მისი შიგნიდან დაქსაქსვა.

თუ პარიზის ყრილობა არ მიემხრობა ამ საკითხში კომინტერნის აღმასკომს, მისი საბოლოო გადაწყვეტა მიეკუთვნება კომინტერნის მე 4 კონგრესს.

კომინტერნის აღმასკომი ერთხელ კიდევ სთხოვს პარიზის ყრილობას მკაფიოდ გააშუქოს ყველა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთაც განხეთქილება შეაქვთ საფრანგეთის კომპარტიაში. ის მძიმე გაკვეთილი, რომელიც მიიღო იტალიის სოციალისტურმა პარტიამ, რომელმაც ორი წლის შეცდომების და მერყეობის შემდეგ აღიარა კომინტერნის მოთხოვნილების სიმართლე, არ უნდა დაიკარგოს ტყუილ უბრალოდ.

კომინტერნი დარწმუნებულია, რომ პარიზის ყრილობა ბოლოს მოუღებს მერყეობას და შექმნის ნამდვილ კომუნისტურ პარტიას, რომელიც ღირსი იქნება საფრანგეთის ძლევა-მოსილ პროლეტარიატის ხელმძღვანელობისა.

ჩეხეთ სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს

პატივცემულო ამხანაგებო!

აღმასკომი გაეცნო რა ზოგადად ჩეხეთ-სლოვაკიის უკანასკნელ პარტიულ კონფერენციაზე მომხდარ ამბებს ადგენს:

1) კომინტერნის აღმასკომი გმობს ოპოზიციონურ ჯგუფის გამოსვლას იმ ფორმით, რა ფორმითაც ეს მოხდა, როგორც არა დისციპლინარულ მოქმედებას, და ერთხელ კიდევ აღნიშნავს, რომ ცეკას უმრავლესობის საერთო პოლიტიკური ხაზი სწორია.

2) მაგრამ მაინც, ოპოზიციის ჯგუფის პარტიიდან გამორიცხვა არის სწორი ნაბიჯი. პარტიიდან გამორიცხვა არა უკიდურესი ზომაა ამ ზომას უნდა მიმართოთ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა დანარჩენი შესაძლებლობა ამოწურულია, რასაც ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა. ამის გამო კომინტერნის აღმასკომი ადგენს:

ა) გადაწყვეტილება ჩეხეთ-სლოვაკიის კომპარტიიდან ამხ. შტურგის, ილეკის და სხვების გამორიცხვის შესახებ, შეჩერებულ იქნეს, ამასთანავე ხსენებული ამხანაგები უნდა იქნენ აღდგენილნი პარტიის წევრობა უფლებებში.

ბ) წინადადება მიეცეს ოპოზიციის ჯგუფს გაგზავნონ მოსკოვში მეოთხე კონგრესზე ამხ. შტურცი, ბოლენი და ილეკი ოპოზიციის თვალსაზრისის დასაცავად.

გ) მთელი საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილ იქნეს კომინტერნის მეოთხე კონგრესზე, რომლის დადგენილება, რა თქმა უნდა, ყველასათვის სავალდებულო იქნება.

ჩეხეთ-სლოვაკიის მუშების წინააღმდეგ კაპიტალის გაფთრებულ შემოტევის, უმუშევრობის არაჩვეულებრივ ზრდის და ბრძოლის საერთო გამწვავების ხანაში, ჩეხეთ სლოვაკიის კომუნისტები ვალდებული არიან შეაკავშირონ თავიანთი რიგები და რათაც არ უნდა დაუჯდეთ თავიდან აიშორონ ყოველგვარი განხეთქილება.

კომუნისტური სალამით.

კომინტერნის აღმასკომი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ფაშისტების თარეში. თითქმის ყოველ დღე მოაქვს დეპეშას ცნობები ფაშისტების უმსგავსო მოქმედებათა შესახებ. ზოგიერთი მათგანი, რომელიც აწერილია იტალიის უკანასკნელ გაზეთებში, საჭიროა განსაკუთრებით აღინიშნოს, ვინაიდან ის ფრიად დამახასიათებელია იტალიაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებისათვის.

ამ ბოლო დროს ფაშისტები იმდენად გათავხედდნენ, რომ ტერორი ქვეშ ყავთ არა მარტო რევოლიუციონური მუშები და გლეხები, არამედ ყველა, ვინც გაბედავს მათ წინააღმდეგ სიტყვის დაძვრას. ასე, მაგალითად, ცენტრში დეპუტატ ნაციონალისტმა მიზურიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომლის ზოგიერთი ნაწილი არ მოეწონათ ადგილობრივ ფაშისტებს. უკანასკნელებმა მოსთხოვეს მიზურის, რათა ის გამოცხადებულიყო მათ ორგანიზაციაში განმარტების მისაცემად, რაც ასრულებულ იქნა დეპუტატის მიერ.

ფაშისტებმა მიზურის მიაყენეს ყოველგვარი შეურაცხყოფა, ხოლო ერთი მისი თანამგზავრთაგანი მოკლეს.

დამახასიათებელია მეორე ფაქტიც. ღამით, ტურინში, მუშასთან, რომელსაც ეცვა შავი ხალათი, როგორსაც ჩვეულებრივად ფაშისტები ატარებენ, მიდის ორი ფაშისტი და ეკითხებიან, ეკუთნის თუ არა ის მათ ორგანიზაციას. ის უპასუხებს უარყოფითად მაშინ ისინი მოითხოვენ მისგან საბუთების წარდგენას. ეტყობა, მუშამ უარი სთქვა მათი მოთხოვნის ასრულებაზე, და ფაშისტებმა ის მოკლეს იქვე. ასეთი შემთხვევა, რა თქმა უნდა, აიხსნება იმ გარემოებით, რომ ფაშისტები გრძნობენ თავს მდგომარეობის ბატონ პატრონად, რომელთაც არა აქვთ შიში კანონების და ხელისუფლების. კიდევ მეტი, ისინი თვითონ ასრულებენ და თამაშობენ ხელისუფალთა როლს.

ინგლისის ტრედიუნიონების დაცემა. ტრედიუნიონთა კონგრესზე საუტპორტში მონაწილეობა მიიღო 800 დელეგატმა, 5.127.000 წევრთა წარმომადგენლებმა. გასულ ორი წლის განმავლობაში ტრედიუნიონების წევრთა რიცხვმა 1.289.000 კაცით იკლო; თუმცა წევრთა ეხლანდელი რაოდენობა მაინც მეტია ომის მეორე წლის რაოდენობაზე. ტრედიუნიონების ლიდერები წევრთა შემცირებას ხსნიან ქალთა გამოკლებით რომლებიც წევრებად შევიდნენ ტრედიუნიონებში ომის და მაზე თან მოყოლილ ხანმოკლე სამრეწველო აღორძინების დროს. ეს ახსნა რასაკვირველია, საკმაო არ არის; ტრედიუნიონებიდან გამოსვლა უმთავრესათ იმ აპატიით აიხსნება, რომელმაც მუშათა მასები შეიპყრო ხანგრძლივ უმუშევრობის და დიდ გაფიცვების დამარცხების დროს, როგორც მემალაროელთა გაფიცვა შარშან.

კონგრესი შემთანხმებლების რეაქციონური სული ტრიალებდა.

ფარულ კენჭის ყრის დროს ხმების 3 | 4 ით (3 576 000 წინააღმდეგ 1.205 000) უარყოფილ იქნა წითელ პროფინტერნის მომხრეთა (გარი პელიტი) წინადადება გაეფართოვებიათ გენერალური საბჭოს უფლებები იმ მიზნით, რომ გაიზარდოს ტრედიუნიონთა ბრძოლის უნარი, შექნილიყო შრომის მთავარი შტაბი, რომელსაც ექნება უფლება გამოაცხადოს გენერალური გაფიცვა. ეს წინადადება არ გავიდა იმიტომ, რომ 47 პროფკავშირში 47 ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებაა, რის გამო ხშირათ კავშირები ერთმანეთის საწინააღმდეგოთ გამოდიან.

კომუნისტების მასიური დაპატიმრება უნგრეთში. ბუდაპეშტის გაზეთების ცნობით პოლიციამ გაიგო, რომ კომუნისტური პარტიის ვენის განყოფილებამ ჰუნგრეთში დაარსა თავისი ორგანიზაცია ბუდაპეშტში. ამ ორგანიზაციამ გამოსცა ჟურნალი „კომუნა", რომელიც დაიბეჭდა 39 ნომერი. კრებები იმართებოდა ქალაქ გარედ, მაგრამ მასში მონაწილეობას იღებდენ მხოლოდ მცირე ჯგუფები. ცნობაში შემდეგ ნათქვამია, რომ პოლიციამ იპოვა საიდუმლო სტამბა და დაატუსაღა ორგანიზაციის ზოგიერთი წევრი. ალბად ისინი, ხორტის, ჰუნგრეთში გამეფებულ ჩვეულების თანახმად, აწამეს, და რომელიმე მათგანმა გასცა ამხანაგები, და ამგვარად პოლიციამ შესძლო დაეტუსაღებია 100 მდე კაცი, უმთავრესად მშრომელი ახალგაზრდობა.

ეს ცნობა, ეჭვს გარეშეა, გადაკეთებული და შესწორებულია პროვოკაციულ მიზნით, მაგრამ ის მოწმობს იმის შესახებ, რომ, მიუხედავათ ყოველგვარ რეპრესიებისა, რევოლიუციონური მოძრაობა ჰუნგრეთში მაინც არ ჩამქრალა.

ზედმეტი არ იქნება აღინიშნოს ჰუნგრეთის სოციალ-შემთანხმებლების როლი ხსენებულ ცნობის გამო. ჰუნგრეთის სოციალ დემოკრატიულ პარტიის ორგანო „ნეპსავაში" და აგრეთვე ს. დ. ახალგაზრდობის ორგანო „იფიუნკაში" დაიბეჭდა მოწოდება რომელშიაც, სხვათაშორის, ნათქვამი იყო, რომ „ბნელი საზოგადოება ცდილობს ჩაითრიოს ახალგაზრდობა საშიშარ გამოსვლებში". მოწოდების ავტორებს, რასაკვირველია, არ შეეძლოთ არ სცოდნოდათ, რომ ჰუნგრეთის პოლიტიკური ცხოვრების პირობებში, ეს მოწოდება საკმაოა იმისათვის, რომ პოლიციამ მიმართოს რეპრესიებს მშრომელი ახალგაზრდობის წინააღმდეგ. სოციალ-შემთანხმებლებმა იგრძნეს, რომ ნიადაგი მათ ფეხქვეშ ეცლებათ, რომ რევოლიუციონური განწყოფილება პროლეტარიატს შორის ძლიერდება, და მათ აშკარად მიჰყვეს ხელი პროვოკაციას. მუშათა კრებებზე ისინი უწოდებენ „ბოლშევიკს" ყველა მათ, ვინც გაბედავს მათი გამცემლური როლის გაკრიტიკებას.

ერთის სიტყვით, ჰუნგრეთის ს.-დ. ხელს უწყობს ხორტის „ოხრანკას" მის მუშაობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიო-დეპეშები

მდგომარეობა გერმანიაში

ბერლინში მომხდარი ამბების გამო.

მოსკოვი. 20 ოქტ. ბერლინის ქუჩებში მომხდარი უკანასკნელ ამბების გამო, გერმანიის ნაციონალისტებმა შეიტანეს რეიხსტაგში ინტერპელიაცია, რომელიც მოითხოვს პოლიციის მეფის სოც-დემოკრატის რიხტერის გადადგომას. ინტერპელიანტები მოითხოვენ რესპუბლიკის დაცვის კანონში ისეთი პარაგრაფის შეტანას, რომელიც გულისხმობს იმ პირების დასჯას ვინც შეეცდება კრებების ჩაშლას.

კომპარტიამ დანიშნა საპროტესტო დემონსტრაცია რეაქციის თარეშის წინააღმდეგ, 18 ოქტომბერს ნაციონალისტებმა პოლიციის დახმარებით გამართეს დემონსტრაცია, შეურაცყოფას აყენებდენ სოციალისტებს, ილაშქრებდენ ებრაელების წინააღმდეგ და იმუქრებოდენ მემარჯვენეების შეიარაღებულ აჯანყებით თეთრ გვარდიელთა კრებაზე მიღებულ რეზოლიუციაში გინდენბურგს ეძლევა წინადადება წამოაყენოს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურა.

— 160 დაპატიმრებულიდან, ქუჩის ცირკთან მომხდარი სისხლის ღვრის გამო, სასამართლოში მისცეს მხოლოდ 15 კაცი, რომელთაც ბრალი ედებათ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში და ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევაში.

დღეს დააპატიმრეს კიდევ რამდენიმე კომუნისტები, მათ შორის არის გაზ. „როტეფანეს" მთავარი რედაქტორი ტალჰეიმერი, კომუნისტების ლიდერები ბრანდლერი და სივერტი და ორი რუსი გირსკინდი და კოროვსკი.

ფულის მოჭრა

გერმანიის რეიხსტაგის დადგენილების თანახმად, ამ ჟამად მზადდება სასწრაფო წესით ლითონის მანეთები 3 მარკის ღირებულებისა. ახლო მომავალში ახალი მანეთები იქნება გაშვებული ხმარებაში განზრახულია უფრო დიდი ღირებულების მანეთის გამოშვება. წვრილი მანეთები არ იქნება მოჭრილი დიდი რაოდენობით, ლითონის გაძვირების, სამუშაო ხელფასის გადიდების და მარკის სყიდვითი ძალის შემცირების გამო.

ახლო აღმოსავლეთის ამბები

ადრიანოპოლში.

მოსკოვი. 20 ოქტ. კონსტანტინოპოლიდან გაიგზავნა 12 000 ფრანგი სალდათი ადრიანოპოლში, სადაც საბერძნეთის არმიის ევაკუაციის გამო მდგომარეობა მართლდება. მოკავშირეთა სარდლობა როგორც ჩანს იქ შექმნილ მდგომარეობას სერიოზულად სთვლის.

კონფერენცია.

მოსკოვი. 20 ოქტ. ანგორის ეროვნული ყრილობა დაჟინებით მოითხოვს სამშვიდობო კონფერენციის მოწვევას სმირნაში.

ლტოლვილები.

მოსკოვი. 20 ოქტ. საბერძნეთში ჩავიდა 600.000 ლტოლვილი.

სრუტეები.

მოსკოვი. 20 ოქტომბ. გაზ. „პტი პარიზენის" თანამშრომელთან საუბრის დროს ერიომ განაცხადა, რომ ინგლისის პოლიტიკა სრუტეების საკითხში დიდ საფრთხეს წარმოადგენს რუსეთისათვის, რომლისათვისაც სრუტეები წარმოადგენს ერთად ერთ გასავალს ზღვაში. ერიომ დაუმატა, რომ სრუტეების საკითხში რუსეთის ინტერესები ეთანხმებიან საფრანგეთის ინტერესს.

აღმოსავლეთ ფრაკიაში.

მოსკოვი. აღმოსავლეთ ფრაკიაში დაარსდა 9 კომისია ოსმალეთისათვის ამ მხარეს გადასაცემად. სამოქალაქო მცხოვრებთ, რომელთაც სურთ ფრაკიიდან გადასახლება, საბერძნეთის ჯარების გასვლის შემდეგ, მიეცემათ ერთი თვის ვადა, რომლის განმავლობაში მართვა გამგეობა დარჩება მოკავშირეთა ხელში.

შანცერის განცხადება.

მოსკოვი. 20 ოქტ. გაზ. „დეილი ტელეგრაფი" იტყობინება, რომ შანცერი ფიქრობს განიხილოს ახლო-აღმოსავლეთის საკითხი ჯერ პუანკარესთან, ვინაიდან მას სურს მიაღწიოს საფრანგეთთან სრული შეთანხმება, სანამ ის განიხილავს საკითხს ინგლისთან. შანცერი სცდილობს შეზღუდოს სერბიის და რუმინიის გავლენა მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე, ამიტომ ის დაჟინებით მოითხოვს კონფერენციაზე რუსეთის და ბულგარეთის მოწვევას და უკანასკნელისათვის დასავლეთ ფრაკიის გადაცემას. იტალია მოითხოვს მოსულის სანავთო ადგილებში მისთვის ნაწილის დათმობას. პუანკარემ ამის მაგიერათ მოითხოვა სირიაში და ტუნიაში საფრანგეთის საწინააღმდეგო პროპაგანდის შეწყვეტა და სარეპარაციო საკითხში საფრანგეთის თვალსაზრისის გაზიარება.

ლოიდ-ჯორჯის სიტყვა.

მოსკოვი. ლოიდ ჯორჯმა მანჩესტერში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც იცავდა ინგლისის პოლიტიკას ახლო-აღმოსავლეთის საკითხში. პრემიერმა განაცხადა, რომ ამ პოლიტიკამ დაიხსნა ევროპა ახალი ომის საშინელებისაგან. ლოიდ ჯორჯმა სასტიკად გაილაშქრა ასკვიტის და გრეის წინააღმდეგ, აღნიშნა რა, რომ არასდროს და არასოდეს არც ერთ მთავრობას არ განუცდია ასეთი თავდასხმა საერთაშორისო კრიზისის ხანაში. ლოიდ ჯორჯმა აღნიშნა, რომ მან არა ერთხელ შესთავაზა პრემიერობა სხვა და სხვა პირებს, რომელნიც უარს აცხადებდენ ამაზე.

— მანჩესტერში წარმოთქმულმა სიტყვამ გამოიწვია კონსტანტინოპოლის ქემალისტურ წრეებში დიდი აღშფოთება. ანგორის მთავრობის წარმომადგენელმა კონსტანტინოპოლში განაცხადა, რომ ლოიდ-ჯორჯის სიტყვამ შეარყია ინგლისისადმი ნდობა.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ანგორისათვის ლოიდ-ჯორჯის ის სიტყვები, სადაც ის ადარებს ქემალისტებს მტაცებელ მხეცებს.

რუსეთი და კონფერენცია.

მოსკოვი. 20 ოქტომბერი. ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი ოფიციალურად იტყობინება, რომ პუანკარეს და კერზონის შორის გამართულ უკანასკნელ თათბირზე არც ერთი მხრიდან არ იყო გადადგმული არავითარი ნაბიჯი რუსეთის კონფერენციაზე არ დაშვებისაკენ. იმავე თათბირზე აღნიშნული იყო, რომ ვინაიდან რუსეთი მშვიდობიან ურთიერთობაში იმყოფება ოსმალეთთან, მას არა აქვს საფუძველი დაჟინებით მოითხოვოს იმ კონფერენციაზე დაშვება, რომელიც მოწვეული იქნება მშვიდობიანობის ჩამოსაგდებით ოსმალეთსა და სახელმწიფოებს შორის, რომელნიც საომარ ურთიერთობაში არიან ანგორასთან.

გენ. ანდერსონი.

მოსკოვი. 20 ოქტ. კონსტანტინოპოლში ჩავიდა ინგლისის გენერალი ანდერსონი დიპლომატიური მინდობილობით.

ეგვიპტე და კონფერენცია.

მოსკოვი. 20 ოქტ. ეგვიპტის მთავრობა ოფიციალურად ადასტურებს თავის განზრახვას, მოითხოვოს ეგვიპტის სამშვიდობო კონფერენციაზე დაშვება.

ინდოეთი და ანგორა.

მოსკოვი. 20 ოქტ. გაზ. „ტაიმსში" დაბეჭდილია ინდოეთის საქმეთა ყოფ. მინისტრის მონტეგიუს წერილი, რომელიც გამოსთქვამს კმაყოფილებას ანგორასთან მომხდარ შეთანხმების გამო. მონტეგიუ აღნიშნავს, რომ თუ მოკავშირეებმა წარუდგინეს ოსმალეთს სხვა წინადადება, ამას ექნებოდა ინდოეთისა, ეგვიპტისა და მესოპოტამიისათვის დამღუპველი მნიშვნელობა და აგრეთვე გავლენას იქონიებდა ინგლისის ურთიერთობაზე სპარსეთთან და ავღანისტანთან.

საგარეო ამბები

კომუნისტები ალჟირში.

მოსკოვი. 20 ოქტ. მიუხედავად მთავრობის რეპრესიებისა ალჟირში მომხდარ არჩევნების დროს კომუნისტებმა შეკრიბეს ხმის დიდი უმრავლესობა. ერთ-ერთ საარჩევნო ოლქში იმათ მიიღეს 670 ხმა წინააღმდეგ 1841 ხმისა, რომელიც მიიღეს ნაციონალისტებმა.

რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ.

მოსკოვი. 20 ოქტ. ბუდაპეშტში 15 ნახ. წლით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტეს 26 წლის კომუნისტს ლივშიცს, რომელსაც ბრალი ედებოდა ბუდაპეშტის და ჩეხეთის კომუნისტებს შორის შუამავლობაში.

უმუშევრები ინგლისში.

მოსკოვი. 20 ოქტ. ნაციონალური კომიტეტი (გამოტოვებულია)... აწყობს ლონდონის რაიონის უმუშევართა დემონსტრაციას. ლონდონში ჩამოსულ უმუშევრებს ჰაიდ-პარკში შეხვდება ლონდონის უმუშევართა მასიური დემონსტრაცია.

იტალია

კაბინეტის კრიზისი.

მოსკოვი. 20 ოქტ. ფაქტას კაბინეტმა უარი განაცხადა პარლამენტის წინაშე გამოსვლაზე სესიის განახლების დროს და განზრახული აქვს გადადგომა. ეს გადაწყვეტილება მიღებულია ფაშისტების ულტიმატუმის გამო პარლამენტის გაშვებისა და ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ. ამ მოთხოვნილების გამო განხეთქილება დაიბადა მინისტრთა კაბინეტში, რომლის უმრავლესობაც წინააღმდეგი იყო ფაშისტების ულტიმატუმის დაკმაყოფილებისა.—იტალიის პოლიტიკური მდგომარეობა ძალიან გაურკვეველია. გუშინდელ ცნობის გასაბათილებლად კაბინეტის გადადგომის შესახებ, გვაცნობებს, რომ გაიმართება კაბინეტის სხდომა, რომელიც უნაყოფო იქნა. მოლაპარაკება პარტიის ლიდერებს შორის გრძელდება, ხელისუფლების ახალი კაბინეტისათვის გადაცემის შესამზადებლად. ახალ კაბინეტში შევლენ ფაშისტები. მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს ის, რომ ჯიოლიტს არ სურს დაბრუნდეს მთავრობაში, ფაშისტების გადაჭარბებულ პრეტენზიების გამო.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

სახალხო კომისართა დიდ საბჭოში.

მოსკოვი. 19 ოქტ. ლენინის თავმჯდომარეობით მოხდა სახალხო კომისართა დიდ საბჭოს სხდომა. დამტკიცებულ იქნა სრულიად რუს. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის სესიაში შესატანად მიწის და შრომის კანონების კოდექსი.

სასურსათო გადასახადი

მოსკოვი. 19 ოქტ. 10 ნოემბრისათვის აკრეფილია 219 მილიონი ფუთი სასურს. გადასახადი. სულ აკრეფილ უნდა იქნეს 230 მილ. ფ.

რუს. ახალგაზრდობის კომკავშირის ყრილობა

მოსკოვი. 19 ოქტ. სრულიად რუს. ახალგაზრდობის კომკავშირის ყრილობაზე მუშათა ახალგაზრდობის განათლების შესახებ მომხსენებელმა სთქვა რომ, რომ საჭიროა გადასინჯულ იქნეს სახალხო განათლების სისტემა. ბავშთა საზოგადოებრივი აღზრდა და განათლება უნდა გრძელდებოდეს 15 წლამდე. ამ საფუძველზე უნდა მოეწყოს პროფ. სკოლის. პირველი ბაზა. მუშათა ახალგაზრდობის სკოლა ტეხნიკურ სკოლის ფუძე უნდა იყოს. სკოლა სოციალისტურ აღზრდის და წარმოების შესწავლის იარაღი უნდა იყოს.

მისალმება ამხ. ლენინს

მოსკოვი 19 ოქტ. ამხ. ლენინმა მიიღო მისალმების მხურვალე დეპეშა შორეულ აღმოსავლეთის მეოთხე პარტიულ კონფერენციისაგან, ჩუვაშელების პარტკონფერენციისაგან, მონგოლების დიპლომატიურ მისიისაგან და სხვა.

ძეგლი ტიმირიაზევს

მოსკოვი. 19 ოქტ. მიწად-მოქმედების კომისარიატმა დაადგინა დაჩქარებით გადასცეს სათანადო თანხები ცნობილი ბიოლოგი და პროფესორი ტიმირიაზევის ძეგლის აშენებისათვის.

ამხ. კალინინის მოგზაურობა.

მოსკოვი. 18 ოქტ. ნიჟნი-ნოვგოროდში ჩავიდა ცაკის თავმჯდომარე ამხ. კალინინი, რომელსაც შეხვდენ მუშათა ორგანიზაციები. საღამოზე კალინინი გამოვიდა მუშათა კლუბში, სადაც მას შეხვდენ ხანგრძლივი ოვაციებით.

ოქტომბრის დღესასწაული.

მოსკოვი. 18 ოქტომბერი. მიიღეს ცნობები ოქტომბრის დღესასწაულისათვის მზადების შესახებ. ნიჟნი-ნოვგოროდში ოქტომბრის დღესასწაულისათვის მუშებს დაურიგდებათ საჩუქრები. ყაზანში გამოიცემა სპეციალური გაზეთები რუსულ და თათრულ ენებზე. რიაზანში გაზეთი აცხადებს კონკურსს უკეთეს პროლეტარულ ლიტერატურულ ნაწარმოებზე ოქტომბრის დღესასწაულის ნიშნად.

საბავშვო სახლები.

მოსკოვი. 18 ოქტომბერი. ვიტებსკში მთავრდება საბავშვო სახლების შეკეთება ბავშვებისათვის შეძენილია ფეხსაცმელები, საცვლები და ტანთსაცმელები. სახლები მომარაგებულია სათბობი მასალით.

შრომის კანონების დარღვევისათვის.

მოსკოვი. 18 ოქტომბერი. ამ უკანასკნელ დროს არხანგელსკში შრომის დაცვის განყოფილებამ სასამართლოში მისცა ხეტყის ქარხნების 10 გამგე შრომის წესების დარღვევისათვის.

საბჭოთა მუშაკების სრულიად რუსეთის ყრილობა.

მოსკოვი. 18 ოქტომ. 15 ნოემბერს მოსკოვში მოწვეულია საბჭოთა მუშაკების სრულიად—რუსეთის ყრილობა.

სრულიად რუსეთის კონფერენცია მიწის საკითხის შესახებ.

მოსკოვი. 19 ოქტ. 20 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნება სრულიად რუსეთის კონფერენცია მის საკითხის შესახებ მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის რწმუნებულების საგუბერნიო მიწის სამმართველოების გამგეთა, ფედერატიულ რესპუბლიკების წარმომადგენელთა და ოლქებიდან 5 სპეციალისტის მონაწილეობით. კონფერენციის პროგრამაა: 1. ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შედეგები სოფლის მეურნეობისათვის ფინანსიურ, საბაჟოების და რკინის გზის სფეროში, უკანასკნელი 1 ნახევ წლის განმავლობაში. 2 მიწით სარგებლობის თავისუფლად არჩევაზე გადასვლის შედეგი. 3. სოფლის მეურნეობის კრედიტის პრაქტიკა და მიმართულება. 4. სოფლის დაშლის შედეგი და მომავალისათვის საჭირო ზომები. 5. სოფლის მეურნეობის სპეციალური დარგების აღორძინებლად სათანადო გეგმის შემუშავება ახლო მომავალში. 6 მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის შინაგანი ორგანიზაციის საკითხი, ფინანსიური და სხვა საკითხები. აგრონომიული დახმარების ორგანიზაციული ფორმები, აგრონომიული ადგილები, პუნქტები, აღრიცხვა და გამოყენება სპეციალისტებისა ახალი კანონის პირობებში, აღრიცხვა და მომზადება მიწის მმართველობის პასუხისმგებელ პოლიტიკურ მუშაკებისა. 7 სპეციალური ადგილობრივი საკითხები, ღონისძიებანი, რომელნიც ადგილობრივ საშუალებებს და წყაროს [illegible] მეურნეო ანგარიშზე [illegible] ცდა.

ამისდა მიხედვით 15 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნება საოლქო კონფერენცია მიწის საკითხის შესახებ იმავე პროგრამით.

ამხ. კრასინის გამგზავრება.

მოსკოვი, 19 ოქტ. პეტროგრადში ჩამოვიდა საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარი ამხ. კრასინი, რომელიც მიემგზავრება ჰელსინგფორსში.

საქონელი საზღვარ-გარეთიდან.

მოსკოვი, 19 ოქტ. პეტროგრადის ნავთსადგურში ინგლისიდან მოვიდა ნორვეგიის გემი „გრანლი"—მე-600 გემი საზღვარ-გარეთიდან ნავიგაციის შემდეგ.

რუსეთ-ავსტრიის სინდიკატის გამო.

მოსკოვი, 19 ოქტ. ავსტრიის წარმომადგენელმა პეტროგრადში მარკაზეტმ განუცხადა რუს. ტელ. სააგენტოს წარმომადგენელს: ვენაში დაარსდა რუსეთ-ავსტრიის სინდიკატი, რომელსაც სუფსიდია ავსტრიის მთავრობისაგან ეძლევა. სინდიკატის მიზანია—ჩრდილოეთ დასავლეთის ოლქებში ძველი და ახალი ფაბრიკების აღდგენა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა კონცესიების გზით. მარკიზეტი სთვლის ვენას კარებათ, რომლის საშუალებით უნდა სწარმოებდეს ვაჭრობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

სოფლის კოოპერატივთა კავშირების რწმუნებულთა ყრილობა

მოსკოვი, 19 ოქტ. მოსკოვში გაიხსნა სოფლის კოოპერატივთა კავშირების რწმუნებულთა ყრილობა. ყრილობაზე წარმოდგენილია 10,000 კოოპ. ან 1,700,000 მოსახლე. კავშირები აწვდიდენ გლეხებს სასოფლო სამეურნეო იარაღებს, მიწების სასუქს, მავნებლებთან საბრძოლველ საშუალებებს და თესლეულობას. კავშირების საშუალებით გლეხები ყიდდენ სელს და სხვ.

სწავლა-განათლების საქმის მდგომარეობა ქუთაისის მაზრაში

(გაგრძელება)

23—27 სექტემბრამდე კომისიამ დაათვალიერა ადგილობრივ ქ. ქუთაისის, ხონის, მანოხეჯის, კულაშის და სამტრედიის სასწავლებლები.

განათლების განყოფილებას ზაფხულის განმავლობაში სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დახმარებით მიუღია ხუთასი მილიონი მანეთამდე, მაზრაში სკოლების შენობების შესაკეთებლად, და რემონტი ზოგ ადგილას უკვე დამთავრებულია და ზოგ ადგილას სწავლის დაწყებამდე დამთავრდება. განათლების განყოფილების მაცადინეობით და ადგილობრივი ხელისუფლებისა და მკვიდრთა დახმარებით ქუთაისის მაზრაში 80 პროც. სკოლის შენობა შეუკეთებიათ, ასე რომ მომავალი სასწავლო წლისათვის მაზრის სასწავლებლების შენობების უმეტესობა რემონტის მხრით უზრუნველყოფილი იქნება.

სასწავლებელთა შენობები ქ. ქუთაისში, ხონში, სამტრედიაში, მანოხეჯში და სხვ. ყველანი თითქმის შეკეთებულია და [illegible] სწავლის დაწყება.

სოფელ მანოხეჯში ადგილობრივ მკვიდრთ ჯერ კიდევ 1908 წელს განუზრახავთ სახალხო სახლის აგება. ხარჯთ აღრიცხვით შენობის აგება გამოანგარიშებულია ერთ მილიარდ მანეთამდე. საზოგადოება იშვიათი ენერგიით მოკიდებია საქმეს; ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, ფიზიკური შრომით და მასალის მოზიდვით, ყოველ დღე განუწყვეტლ

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასკომის მეორე სესია

(მერვე სხდომა. 9 ოქტომბერი).

თავმჯდომარის ადგილს იკავებს ამხ. თ. კალანდაძე. სიტყვა დამშეულთა კომიტეტის მუშაობის შესახებ ეძლევა ამხ. ფ. მახარაძეს.

ფ. მახარაძე: ამხანაგებო! მე მოგახსენებთ იმ მუშაობის შესახებ, რომელიც წარმოებდა დამშეულთა დახმარების საქმეში. რა თქმა უნდა ჩემი მოხსენება იქნება მეტად მოკლე, სრული მოხსენება და ანგარიში თავის დროზე იქნება დაბეჭდილი და გამოქვეყნებული. უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ როცა დამშეულთა საქმის მოწყობას შევუდექით, სიმშილობის სურათი ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო ჩვენთვის საკმარისად ნათელი. ეს იყო დაახლოვებით თებერვლის, მარტის თვეები. ჩვენ მხოლოდ კანტიკუნტად მოგვდიოდა ცნობები, ვიცოდით, რომ დიდი მოუსავლობა იწვია მთელს საქართველოს და განსაკუთრებით იმერეთს. მაგრამ მთელი სურათი, ჯამი მოუსავლობისა და სიდიდე თვით სიმშილისა არ ვიცოდით. ჩვენ შევუდექით ცნობების შეკრებას, რა თქმა უნდა სამაზრო აღმასკომების საშუალებით, მაგრამ სამწუხაროდ, უნდა ვსთქვა, რომ სრული ცნობების შეკრება შეუძლებელი იყო. მუშაობის დროს გამოირკვა, რომ უფრო მწვავე მომენტი ამ სიმშილობაში შეიქნა დაახლოებით აპრილის და მაისის თვეებში. ამ თვეებში საყოველთაოდ გამოილია უკანასკნელი მარაგი დაზარალებულთა და ჩვენ შევიქენით მოწამენი მართლაც დიდი გაჭირვებისა. საბედნიეროთ, აღმოსავლეთ საქართველოში ეს მწვავე მომენტი ადრე დასრულდა, დაახლოებით ივნისის თვეში—შეიძლება ასე ითქვას აღმოსავლეთ საქართველოში სიმშილმა იკლო და ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა. მაგრამ იმავე დროს ძლიერ გამწვავდა მდგომარეობა იმერეთში და წარმოიდგინეთ, ასეთ ადგილებშიაც კი სადაც ჩვენ სრულიად არ მოველოდით. რასაკვირველია, არ გვეკვირვებოდა, რომ ეს მომხდარიყო შორაპნის, რაჭის და რამდენიმეთ, ქუთაისის მაზრებში, მაგრამ თუ ესოდენ დიდი გასაჭირი დაადგებოდა ისეთ მაზრებს, რომელნიც კვებავდენ სხვა მაზრებს, მაგ. სენაკის, ზუგდიდის, და ოზურგეთის მაზრებს, ეს ჩვენთვის მოულოდნელი იყო. იმავე დროს წამოიჭრა ახალქალაქის მაზრაც. სულ უკანასკნელ მომენტში ეს მაზრებიც თხოულობდენ დახმარებას, უამისოთ იმათაც მოელოდათ დიდი უბედურება. თუ რამდენად გამწვავებული იყო ეს მდგომარეობა, თქვენ ჩემზე უკეთ იცით. განსაკუთრებით იმათ, ვინც ამ მაზრებიდან არიან მოსულნი. სამწუხაროდ უნდა ვთქვა, რომ ჩვენი კომიტეტის სახსარი განსაკუთრებით პირველ ხანებში ძალიან ნაკლები იყო, მხოლოდ შემდეგ თვეებში მიეცა კომიტეტს მეტი საშუალება; უნდა მოგახსენოთ, ამხანაგებო, რომ კომიტეტს, როცა მუშაობა დავიწყეთ, თითქმის არაფერი სახსარი არ ქონდა. იმავე დროს კომიტეტმა კარგად იცოდა ისიც, რომ თვით მთავრობას, ე. ი. ხაზინას არავითარი შესაძლებლობა არ ქონდა, რომ დამშეულთათვის ცალკე ფონდი შეექმნა ან რაიმე თანხა გადაედვა ამ მიზნისთვის. მაშასადამე, ვისთვის ან რისთვის უნდა მიგვემართნა. ჩვენ მივმართეთ ისევ საკუთარ წყაროების გაჩენას პირველ ხანებში ეს იყო სხვადასხვა ნებაყოფლობითი შემოწირულებანი სალამოების და სამღლუპების მოწყობა, ნივთებისა და სურსათის შეკრება და ამავე დროს სხვადა სხვა გადასახადებზე და ბაჟებზე ზედმეტი გადასახადის გაწერა, მაგ. შემოსავლის კვალობაზე, საბაჟოებში შემოსატან და გასატან საქონელზე ფოთში და ბათომში. ბოლო ხანებში ჩვენმა კომიტეტმა მიიღო სამონოპოლიოთ ლოტოს თამაში, რა-

ჩინა. აქა მოგახსენეთ, პირველად, როცა დავიწყეთ მუშაობა თითქმის არაფერი არ მიგვეღია ხაზინიდან. მაგრამ სიმართლე მოითხოვს განვაცხადო, რომ ორი ვაგონი სიმინდი მოგვცა სასურსათო კომისარიატმა. გარდა ამისა ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ჩვენ გადმოგვცა რამდენიმე ასი ათასი მანეთის ძვირფასეულობა, ოქროულობა, რომ საზღვარგარეთიდან გამოგვეწერა სიმინდი. ეს იყო და ეს. ეს მივიღეთ ჩვენ თებერვალში და მაშინვე დავუკავშირდით საგარეო ვაჭრობის კომისარიატის საშუალებით საზღვარგარეთულ ფირმებისაგან სიმინდი ორასი ათას ფუთამდე. მაგრამ სამწუხაროდ აქედან ჩვენ მივიღეთ მხოლოდ 94 ათასი ფუთი სიმინდი ისიც, რა თქმა უნდა, დიდი დავიანებით, ვაივაგლახით. დანარჩენი გადაეცა მიწათმოქმედების კომისარიატთან არსებულ თესვის ორგანოს და, რა თქმა უნდა, ჩვენ იმას არ გამოუდექით, და არ შევეჯიბრეთ, მიწათმოქმედების კომისარიატს, რადგანაც ორივე დაწესებულება ერთსა და იმავე საქმეს ასრულებდა,—როგორც სურსათის მიწოდება ისე სათესლე მასალისა, დამშეულთათვის ერთი და იგივე საქმე იყო. ამნაირად, ამხანაგებო, რამდენადაც პირობები ხელს გვიწყობდა, ჩვენ თან და თან ვაფართოვებდით მუშაობას და მთავარი კომისარიატის მიერ დღემდის დარიგებული სურსათი ხორბლეულობის სახით უდრის 262 ათას ფუთს, თუ გნებავთ მე დაწვრილებით მოგახსენებთ თუ როგორ იყო ეს სურსათი განაწილებული სხვა და სხვა მაზრებში. (ხმები: საჭიროა). აი ეს განაწილება; მაზრებს ეძლეოდა სხვა და სხვა მარცვლეულობა: სიმინდი, ხორბალი, ჭვავი და გრიცა. მაზრებს სულ მიეცა:

ქუთაისის მაზრას		29.622^{07}
გორის	„	30.419^{20}
ბორჯომის კომიტ.		3.501
ბორჩალოს მაზრას		6.797
შორაპნის	„	39,120
სენაკის	„	$12,119^{26}$
თბილისის	„	7,713
ოზურგეთის	„	$25,579^{12}$
დუშეთის	„	5,895
ახალციხის	„	3,060
რაჭის	„	$37,015^{35}$
ლეჩხუმის	„	$11,873^{10}$
სამხრეთ ოსეთს		$7,502^{10}$
ზუგდიდის მაზრას		$6,018^{30}$
ახალქალაქის		3,791
თიანეთის	„	2,001

გარდა ამისა სახალხო სასურსათო კომისარიატს მივეცით სესხათ 29,227 ფუთი.

სულ მაშასადამე $261,255^{35}$ ფ.

აქ მოხსენებული ჭვავი მივიღეთ რუსეთიდან. სულ მიღებული სურსათის რაოდენობა შეადგენს 262,008 ფუთს. აქ არ შედის ის რაც ამერიკულმა კომიტეტმა ზოგი ჩვენი თხოვნებით ზოგი ცალკე მაზრების თხოვნებით დაარიგა მაზრებში. ამის ანგარიში ჩვენ ხელში არ არის. გარდა ამისა ჩვენ სხვა ნივთებიც დავარიგეთ, რასაც სხვადასხვა გზით ვიძენდით, ტანსაცმელი, სხვა და სხვა მატერია და სხვ. მაგრამ ეს დიდ რამეს არ შეადგენს. მე მგონია თქვენთვის საინტერესო იქნება მთელი ჯამი შემოსავლისა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში შემოვიდა, ე. ი. მარტ. 1-დან სექტ. 26 მდე, იყო დამშეულთა მთავარი დამხმარე კომიტეტის განკარგულებაში და აგრეთვე ის თუ რა წყაროებიდან რა მიიღო მთავარმა კომიტეტმა.

პერლოვის ლოტოდან თბილისში	—	—	—	1.181.820.560 მან.
ჩირქიზოვის ლოტოდან	—	—	—	479.243.000 „
პერლოვის ლოტოდან პროვინციებში		—	—	1 მილიარდი „
ნებაყოფლობითი შემოწირულებანი		—	—	815.028 873 „
პროცენტები თეატრებიდან და სალამოებიდან				23 166.000 „
კომიტეტის მიერ გამართულ სეირნობიდან			—	521 932 700 „
შემოწირულებათა შეგროვება	—	—	—	22.946.000 „
სახალხო კომისარიატების შემოწირულებანი:				
ფულად და საქონლით	—	—	—	888 500.000 მან.
საქონლით	—	—	—	4 216 500 000 „
შემოსავალზე გადასახადიდან		—	—	4.363.293 905 „
სალერძი	—	—	—	13.312.183 „
საბაჟო	—	—	—	3.018.006.918 „
სააქციზო	—	—	—	12 997.500 „
საფოსტო	—	—	—	645.898 500 „
ბანკის ოპერაციები	—	—	—	391,714 903 „

სულ ეს შეადგენს 19 მილიარდზე მეტს რას მოხმარდა ეს ფული? უმთავრესად მოხმარდა სურსათის შესყიდვას და შემდეგ მის გადაზიდვას. ეს გადაზიდვა დიდი ფული დაჯდა. გარდა ამისა ჩვენ მივეცით რამდენიმე ასი მილიონი ცენტროთესს, რომელსაც თესლის გადაზიდვის საშუალება არ ქონდა; ჩვენ ამ საქმისათვის გავეცით ხუთას—ექვსას მილიონამდე.

ამასთანავე ფულს ვაძლევდით სამაზრო კომიტეტებს ავანსისა და ერთდროული დახმარების სახით; უკანასკნელი უნდა მოხმარებოდა სეტყვისა და წყალდიდობისაგან დაზარალებულთ. მე წაგიკითხავთ სამაზრო კომიტეტების ნუსხას, რომლებზედაც ირიცხება გაუმართლებელი ავანსები და რომელთაც მიეცათ ხსენებული დახმარება.

ბორჯ. დამ. დამ. კომიტ. ირიცხება 22 მილ. მან.

სამხრეთ-ოსეთის	—	140 მილ. მან,
დუშეთის	—	47 მილ. მან.
რაჭის	—	550 მილ. მან.
გორის	—	64 მილ. მან.
ახალციხის		7,295 მილ. მან.
ახალქალაქის	—	20 მილ. მან.
თბილისის	—	22 მილ. მან.
ბორჩალოს	—	5 მილ. მან.
ლეჩხუმის	—	25 მილ. მან.
თიანეთის	—	13 მილ. მან.
ოზურგეთის	—	129 მილ. მან.

სულ მაშასადამე 1.044.295000;

სტიქიისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად მიეცა:

სამხ-ოს. კომიტ.	—	100 მილ. მან.
რაჭის	—	100 მილ. მან.
ახალციხის	—	100 მილ. მან.
ახალქალაქის	—	100 მილ. მან.
ლეჩხუმის	—	145 მილ. მან.
თიანეთის	—	75 მილ. მან.
ოზურგეთის	—	300 მილ. მან.
სენაკის	—	100 მილ. მან.
შორაპნის	—	100 მილ. მან.
თელავის	—	50 მილ. მან.

სულ—1.170.000,000 მთავარმა კომიტეტმა აგრეთვე დახმარება აღმოუჩინა მრავალ დაწესებულებას, როგორც ცენტრში ისე ადგილობრივ. ასეთი დახმარების ჯამი უდრის 1.325 629.000 მან.

გარდა ამისა, არის კიდევ მიცემული რამოდენიმე თანხა სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისადმი: მაგალითად, რუსეთის დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტს მივეცით 52,056,000 მანეთი, საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს 150 მანეთი, საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს ერთი მილიარდი. ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატს 7 მილ. ცხინვალის წარმომადგენელს მაჩაბელს მიეცა ექვსი მილიონი იმ სურსათის გადატანისათვის, რომელიც უნდა წაეღო ცხინვალში მიწათმოქმედების კომისარიატს—380,000,000 მან., ცენტროთესს—40,000,000 მან. ყველა ეს თანხა ზოგს მიეცა სესხათ, ზოგს ავანსად და ანგარიშები ჯერ წარმოდგენილი არ არის; სახალხო მეურნეობის საბჭოს სამკერვალო განყოფილებას, (სამკერვალო მუშათა ორგანიზაცია მეტად გაჭირვებულ და აუტანელ მდგომარეობაში იყო, განსაკუთრებით ქალების ორგანიზაცია), სესხის სახით მიეცა 200 მილიონი, თუმცა ასეთ დახმარებას მე მგონია უკან ვერ მოვთხოვთ. გარდა ამისა, ოზურგეთის სახალხო განათლების განყოფილებას მიეცა 150 მილიონი განსაკუთრებული თხოვნით სესხის სახით და სხვ. ჯერჯერობით ეს სესხი რასაკვირველია გადახდილი არ არის. ამნაირად როგორც თქვენ ხედავთ უკანასკნელ დროში განსაკუთრებით, დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტის მოქმედების ჩარჩო გაფართოვდა თანდათან. ამავე დროს თითონ კომიტეტს ყოველი კუთხიდან და უმთავრესად თბილისის ორგანიზაციებიდან გარს ეხვეოდა, განსაკუთრებით, კერძო პირები, რომელნიც თხოულობდენ დახმარებას. ზოგს გზავნიდა პროფესიონალური ორგანიზაცია, ზოგს კიდევ პარტიული.

რა თქმა უნდა, ასეთ უაღრესად გაჭირვებულ პირებისათვის უარის თქმა შეუძლებელი იყო. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ჩვენი სოციალური დახმარების კომისარიატი გაუქმებულია. იმის ფუნქცია გადაეცა სხვადასხვა კომისარიატებს და ორგანიზაციებს, მაგრამ თქვენ კარგად უნდა იცოდეთ ისიც, რომ არავითარი დაწესებულება ამ შემთხვევაში არ არსებობს, რომ გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს სასწრაფოთ რაიმე სახსარი აღმოუჩინოს. ასეთი დანიშნულების ორგანიზაცია დღეს თითქმის არ არსებობს. და ყველანი ჩემთან მოდიან დახმარებისათვის, როგორც ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან ან და როგორც დამშეულთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარესთან. რა თქმა უნდა, იყო ისეთი შემთხვევები, რომ არ შეიძლებოდა დახმარება არ აღმოგვეჩინა მთხოვნელისთვის. გარდა ამისა, როდესაც მე პირადათ მომიხდა აბასთუმანში ყოფნა, იქ მოწამე შევიქენი მეტად არა სასიამოვნო სურათისა, როდესაც გაგზავნილი მუშა და გლეხი იმყოფებოდა საშინელ გაჭირვებულ მდგომარეობაში ის რასაც ხაზინა აძლევდა არ იყო საკმარისი, და მეტის მიცემა არც შეიძლებოდა ხაზინიდან. იმავე დროს შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ თუ რაიმე დახმარებას არ აღმოუჩენდით, სწორედ გითხრათ ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვებოდა. აი ყველა ამ შემთხვევითი ხასიათის დახმარების საერთო ჯამი უდრის 379 მილიონს. რა თქმა უნდა, ეს არ არის დიდი თანხა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ხშირად ასეთ უბრალო დახმარებით ბევრი ადამიანი სიკვდილისაგან ვიხსენით. ამის მოწამენი იყვნენ და არიან. ამ გვარად ამხანაგებო, თქვენ ხედავთ, რომ კომიტეტი ერთნაირად გასცილდა თავის ფარგლებს. დახმარება უფრო ფართე ხასიათს იღებს, ამას იწვევს ცხოვრება. ავიღოთ მაგალითად თბილისი. აქ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ქარხნებში და

მუშაობაში არიან ჩაბმული და ამ საშვილიშვილო საქმეს თავს დასტრიალებენ. ძირითადი თანხის გასაძლიერებლად საბჭოს მიუმართავს ამხ. ფ. მახარაძისათვის, რომელსაც 50 მილიონი მანეთით დახმარება აღმოუჩენია.

ვინაიდან მათხოჯილებს შრომის სკოლისათვის ჯერაც კიდევ საკუთარი შენობა არ მოეპოვებათ, ამიტომ კომისიამ დაარწმუნა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომ სახალხო სახლისთვის განზრახული შენობა გამოეყენებინათ რვა წლიან შრომის სკოლისათვის. შენობის გადასაკეთებლად განათლების კომისარიატმა ჯერ-ჯერობით 30 მილიონი მანეთის დახმარება აღმოუჩინა საამშენებლო საბჭოს.

სამტრედიაში კომისია დაესწრო ქართული ენის ხელმეორე გამოცდებზედ ტექნიკუმის მეშვიდე კლასში. მოწაფეების პასუხი ნ. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძისა, ილია ჭავჭავაძისა, გრ. ორბელიანის, ნაწარმოებების და ლიტერატურულ მოღვაწეობის შესახებ დამაკმაყოფილებლად ჩაითვლებოდა.

წარსული სასწავლო წლის განმავლობაში მთელს მაზრაში იყო 16 ტექნიკუმი, 249 შრომის სკოლა და ერთი საბავშვო სახლი ქ. ქუთაისში. ყველა ამ სასწავლებლებში სასწავლო წლის დამთავრებამდე ირიცხებოდა 1576 თანამშრომელი, რომელთაგან 1328 მასწავლებელი და 246 ტექნიკური მომუშავე.

განათლების განყოფილების შემოწმებით, სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამები შედარებით საკმარისად შეუსრულებიათ სკოლებში, თუმცა მასწავლებლებს, როგორც ყველგან, მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა.

განათლების განყოფილების გამგემ გაგვაცნო მაზრაში სასწავლებლების შეერთებისა და შეჯგუფების პროექტი, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლების ყველა ორგანოს უკვე მოუწონებია და დაუდასტურებია.

ქუთაისის განათლების განყოფილების გამოანგარიშებით, ქუთაისის მაზრაში ორმოცდა ათი თემია. თვითეულ თემში უნდა დაარსდეს თითო მთლიანი შრომის სკოლა, დანარჩენი სკოლები კი უნდა იქნას მიჩნეული პარალელად. თემის შრომის სკოლა სხვა სკოლებს, რომელთა რიცხვი იქნება ყოველ კერძო შემთხვევაში არა უმეტეს ხუთისა, უფრო ახლო ხელმძღვანელობას გაუწევს. საქმის ამ რიგად მოგვარება მრავლად შეამცირებს მასწავლებელთა რაოდენობას (გამგეს მოადგილეები არ ეყოლება) და პედაგოგიურის და ფინანსიური მხრითაც მიზანშეწონილი გამოდგება.

ამ პროექტის დეტალურად განხილვის და დამტკიცების შემდეგ კომისიამ მოახდინა შემდეგი განკარგულებანი:

1. ქ. ქუთაისში დარჩეს 9 ტექნიკუმის მაგივრად მხოლოდ ხუთი ტექნიკუმი: სამი ჰუმანიტარული, ერთი სამეურნეო ტექნიკუმი და ერთიც მუსიკალური.

2. დაარსდეს ხონში პედაგოგიური ტექნიკუმი და შეუერთდეს ამ ტექნიკუმს ხონშივე არსებული ჰუმანიტარული ტექნიკუმი.

3. ხონის მექანიკური ტექნიკუმი დამტკიცებულ იქნას საშუალო კურსის ტექნიკუმად.

4. დამტკიცებულ იქნას სამტრედიაში ჰუმანიტარული ტექნიკუმი.

5. დაიხუროს ვანის ჰუმანიტარული ტექნიკუმი.

6. დატოვებულ იქნას კულაშის და სამტრედიის ტექნიკუმები იმ პირობით, თუ ადგილობრივი თემები მოიწვევენ მომზადებულ მასწავლებლებს და ერთ დროულად გაიღებენ ფიზიკურ კაბინეტების მოსაწყობ თანხას. წინააღმდეგ შემთხვევაში ტექნიკუმებიც დაიხურება.

7. დამტკიცდეს ქუთაისის მაზრის ორმოცდა ათ თემში თითო შრომის სკოლა, ხოლო დანარჩენი სკოლები ჩაითვალოს თემის სკოლის პარალელებად.

თემის სკოლის ხელმძღვანელად მოწვეულ იქნას ერთი გამგე, ხოლო მისი მოადგილის თანამდებობა გაუქმდეს.

8. მთლიანი შრომის სკოლის გამგეებად დაინიშნონ უმაღლეს სწავლა დამთავრებულნი.

9. დადასტურებულ იქნას ქ. ქუთაისში ნაცვლად 29 შრომის სკოლისა 15 შრომის სკოლა, ხოლო ორ-ორი მთლიანი შრომის სკოლა სამტრედიაში, დიდ ჯიხაიშში, კულაშში და ხონში.

10. ქუთაისის მე-7 ტექნიკუმის მაგიერ გაიხსნას საღამოს ტექნიკუმი მოზრდილთათვის.

11. მოეწყოს ქ. ქუთაისში საბავშვო ბაღი.

12. ქუთაისის ერთ-ერთი ტექნიკუმი გადაკეთდეს პედაგოგიურ ტექნიკუმად.

13. დაარსდეს ქ. ქუთაისში ხუთი წევრისაგან შემდგარი სამეცნიერო პედაგოგიური სექცია პედაგოგიურ საკითხებისა და მასთან დაკავშირებულ საქმეთა განსახილველათ.

14. დაევალოს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს ადგილობრივ საშუალებიდან დააკმაყოფილოს ჯამაგირებით: 1) ყველა ტიპისა და ხარისხის ტექნიკური მომუშავენი; 2) სკოლების სანიტარული ექიმები, 3) განათლების განყოფილების შტატის მთელი შემადგენლობა, გარდა გამგისა, 4) მასწავლებლები 25 პროც. ფარგლებში; გასწიოს სასწავლებლების შენობების რემონტისა და საერთოდ მთელი სამეურნეო ხარჯები.

15. მომავალ სასწავლო წელს აუცილებლად გაიხსნას ხონში საბავშვო ბაღი.

16. გადადებულ იქნას კომისარიატის საშუალებიდან ხონის მექანიკურ ტექნიკუმის იარაღების შესაკეთებლად ათი მილიონი მანეთი.

17. დამტკიცებულ იქნას ქუთაისის განათლების განყოფილების შტატი შემდეგი შემადგენლობით: გამგე—ერთი, მისი მოადგილე ერთი, საქმეთა მართველი ერთი, მემანქანე (იგივე რეგისტრატორი) ერთი, საწყობის გამგე ერთი, ინსტრუქტორი ორი, მოლარე ერთი, ბუღალტერი ერთი, მოანგარიშე სამი, დარაჯი ორი და მეეტლე ერთი.

ფაბრიკებში უბრალო ცოტაოდენი დახმარება, ოცი-ოცდაათი მილიონით შესანიშნავ ეფექტს ახდენს. რა თქმა უნდა, ეს არ არის სისტემატიური დახმარება, მაგრამ დღევანდელ მდგომარეობაში ასეთს დახმარებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს და იგი ერთგვარი სისტემის ხასიათს იღებს. დღეს ჩვენ ლაპარაკი დამშეულთა დახმარებაზე რამდენიმეთ კიდევაც გვეხმუშება, ვინაიდან წელს შედარებით სამაგალითო მოსავალი არის. მაგრამ იმავე დროს ჩვენ ვართ მოწამენი კიდევ ახალი სტიქიური უბედურებისა, განსაკუთრებით იმერეთში, ნიაღვრების სახით, რომელმაც წალეკა მთელი სოფლები და განუზომელი ზარალი მიაყენა ხალხს. გარდა ნიაღვრისა სეტყვამაც დიდი ვნება მიაყენა რამოდენიმე მაზრას, მაგალითად, ახალქალაქის და ახალციხის მაზრებს, სადაც მე თითონ ვიყავი. ამნაირად როგორც ხედავთ ეს დახმარება საზოგადოთ აუცილებელი იყო. მეორე მხრით ჩვენ უნდა დავეხმაროთ ხალხს, რომ აეწიოთ საწარმოო ძალები: მელიორაცია, ე. ი. მორწყვა, ჭაობების გაშრობა და სხ. თქვენ კარგათ იცით, რომ ჩვენს მიერ ჩამოთვლილი თანხებიდან ერთი ნაწილი მიცემულია არხების გაყვანის საქმისათვის. ეხლა იბადება საკითხი როგორი ხასიათი უნდა მიიღოს ამ ორგანიზაციამ, დარჩეს ეს ორგანიზაცია თუ არა, და თუ დარჩება როგორი ხასიათი უნდა მიეცეს მას. რუსეთში უკვე არის ლაპარაკი ამის შესახებ და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მიღებულია დადგენილება, რომ კომიტეტი დარჩეს, მაგრამ შეეცვალოს სახელწოდება. „კომიტეტი რომელიც ებრძვის სიმშილის შედეგს“ (კომიტეტ პო ბორბე ს პოსლედსტვიამი გოლოდა) რა თქმა უნდა, სახელწოდებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ყოველ შემთხვევაში კომიტეტის დატოვება აუცილებელი არის, ვინაიდან ჩვენ სრულებით არ ვართ უზრუნველყოფილი ათასგვარ სტიქიურ უბედურებისაგან, და ამასთან ცრემდ სტიქიური უბედურებანი უფრო მწვავე ხასიათს იღებს ისეთ ჩამორჩენილ ქვეყნებში, როგორც ჩვენი ქვეყანაა. ჩვენ გვესაჭიროება მეურნეობის აწევა, და უმთავრესი ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული აქეთკენ. გარდა ამისა ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება არა მარტო სოფლის ღარიბ ხალხს, არამედ იმავე დროს ქალაქის მუშებსაც. ქალაქშიდაც ღარიბი მუშები არიან, და იმათაც სჭირიათ დახმარება. მოგახსენებთ, რომ ამ შემთხვევაში უპირატესი მნიშვნელობა აქვს იმას რომ დახმარება ცოტა იყოს. მაგრამ თავის დროზე და სასწრაფოდ. ამას არ სჭირია გავლა ისეთი გზით, რომელიც აჭიანურებს საქმეს ხანდახან პატარა თანხაც დიდ საქმეს აკეთებს როცა იგი დროზე ხმარდება საქმეს. ეხლა მთავარი ჩვენი ცდა მდგომარეობს იმაში, რომ ეს ორგანიზაცია დარჩეს; რაც შეეხება სახელწოდებას იმის გამოცვლა საჭირო არის და ეს უნდა მიენდოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

აქ მე მინდა მივიქციო თქვენი ყურადღება ერთ გარემოებაზე,—ეს არის სამაზრო კომიტეტების არსებობა სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მივიღეთ სრული ანგარიში მათგან, ზოგიერთმა მაზრებმა მხოლოდ ახლა გამოგზავნეს იგი. აუცილებლათ საჭიროა, ამ ანგარიშების დროზე გამოგზავნა. ერთი უარყოფითი გარემოება კიდევ ის არის, რომ ზოგიერთ მაზრებში დამშეულთა ორგანიზაცია და სასურსათო ორგანიზაცია ერთსა და იმავე ორგანოშია მოქცეული. რა თქმა უნდა ეს დაუშვებელია. გარდა ამისა, თქვენ იცით, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა შევქმნათ სასურსათო ფონდი დამშეულთა დასახმარებლად. ამ შემთხვევაში დღეს ჩვენ ვიმყოფებით უკეთეს პირობებში იმით, რომ ჩვენ გვაქვს ერთნაირი ფონდი. ჩვენ ურიგებდით სათეს მასალასიმ აზრით, რომ იგი უკანვე მივიღოთ, რასაკვირველია სრულიად უსარგებლოდ, მაგრამ უნდა ავიღოთ მხოლოდ იმათგან, ვისაც შეუძლია მისი დაბრუნება. ამ შემთხვევაში სასტიკად უნდა იქნას დაცული ის დირექტივები, რომლებიც მთავარმა კომიტეტმა დაუგზავნა ადგილებს, ე. ი. შეკრებილ იქნეს მხოლოდ იმათგან, ვისაც სესხის გადახდა შეუძლია. ამ შემთხვევაში ადგილობრივმა აღმასკომებმა უნდა მიიღონ ახლო მონაწილეობა, რომ არ მოხდეს რაიმე გაუგებრობა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ ამ 262 ათასი ფუთის ერთი მესამედის აკრებას მაინც. ესეც, რა თქმა უნდა, საკმარის ფონდს შეადგენს და კომიტეტს ექნება საკმარისი სახსარი, რომ თავისი მოქმედება კიდევ უფრო გააფართოვოს. როცა ჩვენ ვიწყებდით მუშაობას მაშინ თითქმის არაფერი გვქონდა, დღეს ჩვენ ასე თუ ისე გვექნება სასურსათო ფონდი ნატურით და ამავე დროს ფულადაც მოგვეპოვება საკმარისი თანხა. უნდა განვაცხადო აქ შემდეგი: ჩვენმა მოწოდებამ მართლაც შესაფერი გავლენა მოახდინა. სხვათა შორის უნდა აღვნიშნო, რომ აფხაზეთის რესპუბლიკამ ჩვენი იქაური ამხანაგების ხელმძღვანელობით, როგორიც არის ამხანაგი ლაკობა და სხვები საკმარისად საგრძნობი დახმარება აღმოგვიჩინა. მე მოგახსენებთ, რომ იქიდან მივიღეთ 12 ათასამდე ფუთი სიმინდი; მხოლოდ გადმოტანის ხარჯი ჩვენ ვიკისრეთ. გარდა ამისა აფხაზეთში ჩვენი ამხანაგების ინიციატივით მეთამბაქოეთა საზოგადოებამ შემოგვწირა რვაასი ფუთი თამბაქო, თუმცა ეს ცნობა ოფიციალურად არ მიგვიღია, ეს გადმოგვცა ამხ. ლაკობამ. აი ის რასაც მე საჭიროდ ვთვლიდი მომეხსენებია სესიისათვის იმის შესახებ, თუ როგორ მდგომარეობაში არის მუშაობა, რა გზა გამოვიარეთ, რა გაჭირვება ადგა ქვეყანას და რამდენად შესძლო მისი შემსუბუქება ჩვენმა კომიტეტმა.

შემდეგ მომხსენებელს შეკითხვას აძლევს რამდენიმე ამხანაგი, რაზედაც უპასუხებს მომხსენებელი. დასასრულ მოწონებულ იქნა სესიის მიერ დამშეულთა კომიტეტის მუშაობა.

ეკონომიური ცხოვრება

სახალხო სასურსათო კომისარიატში.

სახ. სახ. კომისარიატის დამამზადებელი ოპერაციები.

სახალხო სასურსათო კომისარიატმა გადასწყვიტა, კავკავის კანტორას გაუგზავნოს 300 ვედრო ღვინო მატყლზე გადასაცვლელად. ამას გარდა როსტოვის კანტორას უნდა გაეგზავნოს ჯერ-ჯერობით ერთი ვაგონი თხილი დამამზადებელ ოპერაციებისთვის.

ახალციხის მაზრის გახსნა.

სახალხო სასურსათო კომისარიატის დადგენილებით გორისა, თელავისა და სიღნაღის მაზრის გარდა ახალციხის მაზრაც გაიხსნა. ამ რიგად საქართველოს ყველა მაზრა ღიაა და ამ მაზრებიდან პურეულისა და სხვა სურსათის გამოსატანად არავითარი ნებართვა საჭირო არ არის.

სახ. სასურს. კომისარიატის მოვალეები.

სახალხო სასურსათო კომისარიატმა შესაფერი ნაბიჯები გადადგა, რათა ამ კომისარიატს თავის დროზე და წესიერად გადაუხადონ ვალი სხვადასხვა დაწესებულებებმა, რომელთაც სახ. კომისარიატი პურს აწვდის.

მატყლი შინ მოსახმარებლად.

იმ მატყლს, რომელიც უნდა მოხმარდეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საჭიროებას, სახალხო სასურსათო კომისარიატი არიგებს განსაკუთრებით კოოპერატივებზე ნაღდ ანგარიშის გასწორებით საკოოპერაციო და სახელმწიფო ბანკების საშუალებით. მატყლის დარიგება უკვე დაწყებულია.

ულუფების დარიგება.

ამ დღეებში სახალხო სასურსათო კომისარიატი სახელმწიფოებრივ მომარაგებაზე მყოფ მუშა მოსამსახურეებს ერთბაშად დაურიგებს აგვისტოს და სექტემბრის ულუფას.

სტუდენტთა ულუფის გადიდება.

სახალხო სასურსათო კომისარიატის დადგენილებით სტუდენტთა ულუფა გადიდებულია და სტუდენტთა სასადილოს დღეიდან უკვე გადიდებულის ნორმით ეძლევა.

ხესხი ცენტრო თესს.

სახალხო სასურსათო კომისარიატმა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცენტრო-თესს შეგროვილ სასურსათო გადასახადიდან სესხად მისცა 4 ვაგონი ხორბალი ზუგდიდისა და ოზურგეთის სათესლე საჭიროებისათვის იმ პირობით, რომ მიწად-მოქმედების კომისარიატმა ეს სესხი დაუბრუნოს მოსავლის შეგროვების შემდეგ.

ხიმინდის გატანა ყირიმში.

სახალხო სასურსათო კომისარიატმა ნება დართო „ცეკავშირს“ რათა, ყირიმში გაიტანოს 60 000 ფუთი სიმინდი იმ პირობით კი, რომ წინასწარ შემოიტანოს საქართველოში 60.000 მდე ფუთი მარილი.

ბორჯომის მაზ. სახ. კომისარი.

ბორჯომის რაიონი, რომელიც ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით ცალკე მაზრად იქნა გამოყოფილი, სახალხო სასურსათო კომისარიატმა გორის სამაზრო სასურსათო კომისრის გამგებლობაში დასტოვა.

პარტიული ცხოვრება

ანგარიში

ტყიბულის რაიპარტკომის მუშაობის შესახებ ა. წ. 1-ლი იანვრიდან 15 სექტემბრამდე.

როგორც ჩამორჩენილ კუთხეში, აქ ჩვენი ორგანიზაციული მუშაობა გადატრიალებამდე ძლიერ სუსტი იყო; არსებობდა მხოლოდ თანაგრძნობთა წრეები და მათშიაც არ იყო სისტემატიური მუშაობა. უმრავლესობა ამხანაგებისა აქ არის 1919 20 წლის სტაჟით გადატრიალების შემდეგ, სანამ პირველი პერერეგისტრაცია არ მოხდა, მუშაობა აქ სუსტობდა. რაიკომს იაჩეიკებთან და იაჩეიკებს რაიკომთან არავითარი კავშირი არ ქონდათ. თითეულ თემში შემდგარი იყო პარტკომი, და მუშაობდენ ერთმანეთისა და სამაზრო ცენტრის დამოუკიდებლად. ამას ბოლო მოეღო პერერეგისტრაციის შემდეგ. დამტკიცებულ იქნა პარტიის წევრებათ 25 ამხანაგი; ქუთსამპარტკომმა დანიშნა ამ რაიონში მუშაობის ჩამოსაყალიბებლად კომისია, რომელმაც მოიარა მთელი რაიონი, დაათვალიერა ყველა კომუჯრედები და თანაგრძნობთა წრეები და 1921 წ. 30 ივლისს მოიწვია ხრესილში სარაიონო კონფერენცია, სადაც არჩეულ იქნა რაიკომი. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო რიგიანი მუშაობა: ზემოხსენებული 25 ამხანაგი გავანაწილეთ და მათგან შევადგინეთ ოთხი კომ-უჯრედი: ორი—მაღაროებში, ერთი სად. ტყიბულზე და ერთიც ხრესილში.

პერერეგისტრაციაში გაუტარებელ და დანარჩენ მსურველთაგან შევადგინეთ თანაგრძნობთა წრეები სულ რვა და როგორც კომ-უჯრედებში, ისე თანაგრძნობთა წრეებში ვაწარმოებდით რეგულიარულ მუშაობას; გავდიოდით პროგრამას, კეთდებოდა მოხსენებები დღიურ წესრიგში წამოჭრილ ყველა მნიშვნელოვან კითხვებზე. ამ დროს რაიონის ცენტრი იყო ხრესილში, მაგრამ 1921 წ. აგვისტოს ბოლო რიცხვებში გადავედით ტყიბულში და მოხდა კომიტეტის გადარჩევაც. ეს კომიტეტი მუშაობდა 1922 წ. დასაწყისამდე.

ამა წლის იანვარში კი უნდა მომხდარიყო სარაიონო კონფერენცია და არჩეულიყო კომიტეტი, მაგრამ ვინაიდან ჩვენს რაიონში მაშინ პარტიის ნამდვილი წევრი 30 ზე ნაკლები იყო, ასეთი რაიონული კონფერენცია არ იქნა მოწვეული თანახმად ინსტრუქციისა და რაიონული კომიტეტი იქნა დანიშნული ქუთაისის სამპარტკომის მიერ.

ეს რაიკომი მუშაობდა დღემდე და ამ განვლილ 8 თვის განმავლობაში მისი მუშაობა გამოიხატება შემდეგში:

რაიპარტკომს ყავს ერთი ინსტრუქტორ-ორგანიზატორი. პირველად რაიონში იყო ოთხი კომ.უჯრედი და რვა თანაგრძნობთა წრე. რომ რაიკომი მჭიდროთ იქნეს დაკავშირებული იაჩეიკებთან, ჩვენ პირდაპირ ტყიბულიდან გვყავს დანიშნული იაჩეიკებში პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ადგილობრივ მუშაობას.

პროგრამის გარდა იაჩეიკებში კეთდება მოხსენებები დღიურ წესრიგში წამოჭრილ ყველა მნიშვნელოვან კითხვებზე. ამა თუ იმ საკითხზე აგიტაცია პირველად ტარდება უჯრედებში და იქ კარგათ გამუშავების შემდეგ გადაგვაქვს უპარტიო მასაში. ა. წ. მაისამდე თანაგრძნობთა წრეებში ირიცხებოდა 150-მდე კაცი, მაგრამ მაისში მომხდარ გაწმენდის შემდეგ დარჩა მხოლოდ ას-ათი (110).

უკანასკნელად კი მოვახდინეთ თანაგრძნობთა წრეების ლიკვიდაცია. ყველა ისინი, რომლებმაც დაგვიმტკიცეს ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი და გამოიჩინეს კომუნისტური მსოფლმხედველობა, მიღებულ იქნენ პარტიის კანდიდატებათ: ამის შემდეგ ჩვენს რაიორგანიზაციაში ირიცხება 19 წევრი და 51 კანდიდატი, სულ 70.

ამათგან შემდგარია ოთხი უჯრედი: 1) მაღაროებში, 2) სადგ. ტყიბულზე, 3) ხრესილში და 4) კურსებში.

რომ ყველა საბჭოთა დაწესებულებებთან უჯრედს შესაფერი დამოკიდებულება ქონებოდა. ჩვენ ძლიერ ხშირად ვაკეთებდით მოხსენებას კრებებზე ამის შესახებ და კიდევაც დამოკიდებულება პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს შორის კარგია. თუ კი როდისმე ქონდა ადგილი სხვის საქმეში ჩარევას და გაუგებრობას, ჩვენ ვღებულობდით დაუყონებლივ ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ამ წელში მოვაწყვეთ პრეზიდიუმის სხდომა 19. გაირჩა 46 საკითხი; მათ შორის ორგანიზაციული—27, აგიტაცია პროპაგანდის შესახებ—2 და სხვა და სხვა მიმდინარე—17.

პლენუმის 19, გაირჩა 69 კითხვა მათ შორის ორგანიზაციული—26, აგიტაცია პროპაგანდის შესახებ 4, სხვა და სხვა მიმდინარე—39.

საერთო პარტიული კრება მოეწყო სულ—23. მათზე გაკეთდა მოხსენებები შემდეგ თემებზე: 1) მუშათა და გლეხთა საბჭოების არჩევნები, 2) მიმდინარე მომენტი, 3) გენუის კონფერენცია, 4) პროფკავშირის მუშაობა, 5) მაღაროების მუშაობა, 6) შრომის განყოფილების მუშაობა, 7) სასურსათო გადასახადი, 8) ერთიანი ფულის ნიშანი და სხვა.

აგრეთვე ირჩეოდა სხვა და სხვა კითხვები.

ხანგამოშვებით ვიწვევდით უჯრედების 3. მგ. მდივნების თათბირებს. ასეთი მოვაწვიეთ ოთხჯერ. (4).

მასზე გაირჩა შემდეგი საკითხები: 1) რაიკომის მუშაობა, 2) უჯრედების მუშაობა, 3) ორგანიზაციული აღმშენებლობა და 4) მიმდინარე კითხვები.

მოეწყო მუშების საერთო კრება 9, გლეხთა კრებები 18, მიტინგები 25-მდე.

კრებებზე და მიტინგებზე გაკეთდა სხვა და სხვა მოხსენებები და ჩატარდა კამპანიები.

კამპანიებს ჩატარებას და დღესასწაულს გადახდის დროს მოვაწყვეთ წარმოდგენა-მიტინგები—სულ რვა. იაჩეიკის საჯარო კრებები მოეწყო სულ 18, რომელსაც ესწრებოდა უპარტიო ხალხი.

შაბათობა მოეწყო სულ ოთხი. შეკეთდა დ. ტყიბულის სახალხო სახლი, მაღაროების მუშათა კლუბი, ხრესილის შკოლა და სხვა.

სამხედრო მეცადინეობა სისტემატიურად წარმოებს; პარტმობილიზაციაზე ამხანაგები ყველა თავის დროზე გამოცხადდა.

ამა წლის ივლისში დავაარსეთ პროპაგანდისტთა კოლლეგია, რომელშიაც შედის 11 ამხანაგი. სხდომა იყო სულ რვა.

გაირჩა კითხვები: 1) გენუის კონფერენცია, 2) ესერების პროცესი, 3) ჰააგის კონფერენცია და სხვა.

გავიარეთ ბოგდანოვის „პოლიტიკური ეკონომიის“ პირველი ექვსი თავი.

მაისიდან თანახმად ქუთსამპარტკომის განკარგულებისა, სოფლად იაჩეიკებში კრებები იმართება ორკვირაში ერთხელ, ტყიბულში არსებულ ორ უჯრედში კი კრებები ყოველ კვირაობითაა.

უჯრედებში გავდივართ პროგრამას სახელმძღვანელობით პირველად „კომუნიზმის ანბანი“, შემდეგ „კომუნისტების პროგრამა“ ბუხარინისა, დავიწყეთ და ეხლა შეუდექით „პოლიტიკური ანბანის“ გავლას.

„კომუნისტების პროგრამა“ თითქმის დავათავეთ. სოფლის იაჩეიკებში პროგრამის გავლა სიძნელეს წარმოადგენს; ორ კვირაში ერთი კრება სხვა და სხვა მოხსენებების გაკეთებას და საქმიანი კითხვების გადაჭრას უნდება და პროგრამის გასავლელად ჯერ ერთი დროც აღარ რჩება და მეორეც ეს ძალიან ძნელი შესათვისებელია გლეხებისათვის. ცოცხალი და შინაარსიანი მოხსენებებს, საბჭოთა ხელისუფლების კანონების და დეკრეტების გაცნობას, სხვა და სხვა საქმიან კითხვების გარჩევას და სხვა ასეთებს სათანადო ყურადღებით ეპყრობიან სოფლის უჯრედების წევრები და კარგათაც ითვისებენ. ამიტომ უმთავრესი ყურადღება ამას ექცეოდა წარსულში.

წერა კითხვის უცოდინარნი მთელ რაიორგანიზაციაში არის მხოლოდ ორი. პარტკომს განსაკუთრებული ზომები მათთვის წერაკითხვის შესასწავლად არ მიუღია, რადგან ასეთები ძალიან ცოტა არიან, მხოლოდ მათ დავალებული აქვთ, რათა წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო შკოლის საშუალებით შეისწავლონ წერა კითხვა.

საერთოდ უჯრედებში კრებები რეგულიარულად იმართება და მეცადინეობაც შესაფერ დონეზეა დაყენებული.

რაიპარტკომს ყავდა აგიტატორ-პროპაგანდისტი, მაგრამ ასეთი მოხსნილი იქნა ა. წ. 1 ლი მაისიდან შტატების შემცირების გამო და მისი მოვალეობა დაეკისრა ინსტრუქტორ-ორგანიზატორს.

ჩვენი ყურადღება იანვრის განმავლობაში მიქცეული იყო საბჭოების არჩევნებისათვის სამზადისზე და ამ მიზნით ჩატარებულ იქნა კამპანია რაიონში.

10 იანვარს ჩავატარეთ ახ. კომკავშირის პრესის დღე, რომლის აღსანიშნავად მაღაროებში მოეწყო მიტინგ-წარმოდგენა.

თებერვალში ჩავატარეთ საბჭოების არჩევნები, რომლებიც სასურველად დათავდა.

გადახდილ იქნა 25 თებერვლის დღესასწაული; ამ დღეს გაიმართა მიტინგი და საღამოს მაღაროების მუშათა კლუბში მოეწყო უფასო წარმოდგენა.

მარტში ჩავატარეთ რუსეთის თებერვლის რევოლუციის ხუთი წლის თავი (12 მარტი) ამ დღის აღსანიშნავად ყველა თემებში მოეწყო მიტინგები და გაკეთდა მოხსენებები დღის მნიშვნელობაზე. თვით მაღაროებში კი მოვაწყვეთ მიტინგი და უფასო წარმოდგენა.

აპრილში გატარებულ იქნა თესვის კამპანია და საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ გაიმართა მაღაროების მუშათა კლუბში წარმოდგენა 12 აპრილს.

ამის შემდეგ ჩავატარეთ პირველი მაისის დღეობა, 9—23 მაისს ჩავატარეთ პარტიისა და კომკავშირის დაახლოების ორკვირეული, ყველგან მოვაწყვეთ კომ იაჩეიკების და ახ. კომკავშირის იაჩეიკების შეერთებული კრებები და გაკეთდა მოხსენებები პარტიისა და კომკავშირის დამოკიდებულების შესახებ: მაისშივე ჩატარდა კამპანია გენუის კონფერენციას შედეგებზე, რის შესახებაც გაკეთებულ იქნა მოხსენებები პარტიულ და უპარტიო კრებებზე.

ივნისში ჩატარდა იაჩეიკის კრებებზე და მიტინგებზე მოხსენებები ესერების პროცესის შესახებ. სოფლებში გლეხთა კრებებზე გაკეთდა მოხსენებები მენშევიკების 24—25 და 26 მაისის მოქმედების შესახებ. ეკლესიების ქონების აწერა გაუგებრობას იწვევდა გლეხობაში და ამიტომ ჩატარებულ იქნა აგიტაცია იმაზე თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ აღწერას.

ივლისში გაკეთდა მოხსენებები გერმანიის ამბების და ჰააგის კონფერენციის შესახებ.

აგვისტოში და სექტემბერში ჩატარდა აგიტაცია ერთიანი სასურსათო გადასახადის და ერთიანი ფულის ნიშნის შესახებ და ესერების პროცესის შედეგებზე. ამავე თვეებში ჩავატარეთ დამშეულთა დახმარების შემოწმების ორკვირეული.

დამშეულთა სასარგებლოდ მოვაწყვეთ წარმოდგენა და უკვე დარიგებულ დახმარების სისწორით განაწილების შესამოწმებლად მოვახდინეთ რევიზია. შევამოწმეთ და გადავათვალიერეთ ყველა საქმეები და მდგომარეობის გამოსარკვევათ ვიწვევდით საზოგადო გლეხთა კრებებს, სადაც კეთდებოდა მოხსენებები ადგილობრივი ხუთეულის მუშაობის შესახებ, აქვე ინიშნებოდა ყოველივე ნაკლი და შემოდიოდა სხვა და სხვა განცხადებები.

სულ მოეწყო ათი კრება და საერთოდ ორკვირეულმა დიდი ნაყოფი მოიტანა.

პ. ტყაბლაძე.

(დასასრული იქნება.

ქრონიკა

◆ ქალაქ თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატთან საყოველთაო სამხედრო სწავ. და გადამზადებ ნაწილთან არსებული კულტურული განმანათლებელი კომისია, კვირას 29 ოქტომბერს ცენტრალურ მუშათა კლუბში (პლეხანოვის პროსპ.) მართავს დიდ დრამატიულ-ლიტერატურულ საღამო-სეირნობას გურიის რკინის გზის სასარგებლოდ და თავისი ფონდის გასადიდებლად. კულტურულ-განმანათლებელი კომისია სთხოვს პროლეტარულ პოეტებს: ა. ხ. ს. ეულს, ი. ვაკელს, პ. სამსონიძეს, გ. ციმბირელს, ე. სადოშვილს, კ. ყწრელს და სხვებს მიიღონ მონაწილეობა აღნიშნულ საღამოში.

◆ **კატეგორიიდან გადარიცხვა.** სახელმწიფო პენსიონერთა სიაში შეტანილი სომეხთა პოეტი აკოფ აკოპიანი ს. ს. ს. რ. სწავლა განათლების სახალხო კომისარიატის მიერ გადარიცხულია მეორე კატეგორიიდან პირველ კატეგორიაში.

◆ **სტატისტიკურ-ეკონომიური კრებული.** სტატისტიკის ცენტრალურმა სამმართველომ გახსნა წინასწარი ხელის მოწერა თავის გამოცემაზედ „სტატისტიკურ-ეკონომიურ კრებულზედ“, რომელიც უკვე იბეჭდება და გამოვა დეკემბრის ბოლო რიცხვში. წიგნი იბეჭდება სამ ენაზედ (ქართულ რუსულ ფრანგულზე) და შეიცავს ცნობებს საქართ. სახალხო მეურნეობის ყველა დარგიდან 1909-1921 წ.წ. პერიოდის განმავლობაში. ყოველივე ზომაა მიღებული, რომ გამოცემის ტექნიკური მხარეც შესაფერისი იყოს, ასეთი აკადემიური გამოცემისათვის. ხელის მომწერთათვის წიგნი ეღირება 5 მანეთი ოქროთი, ფინანსთა კომისარიატის კურსის მიხედვით. ხელისმომწერთათვის შეკვეთა სავალდებულოდ ჩაითვლება.

◆ **სტატისტიკოსთა ყრილობის გახსნის დღე** სრულიად საქართველოს სტატისტიკოსთა პირველი ყრილობა, რომელსაც იწვევს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო, გაიხსნება ოქტომბრის 30, სამმართველოს შენობაში, ბროსეს ქ. № 4. ყრილობის პროგრამა და მოწვევის წესი გამოცხადებული იქნება ცალკე.

◆ **საყოველთაო საქალაქო აღწერის გარშემო** სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მიერ პროვინციის ქალაქებში უმეტეს ნაწილად უკვე მოწყობილია სააღწერო ბიუროები და დანიშნულია აღწერის ხელმძღვანელი ადგილობრივ. ამ საქმისთვის მივლინებულმა რწმუნებულმა მოიარეს დასავლეთ საქართველოს, აჭარის და ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებისა. როგორც რწმუნებულნი ატყობინებენ სამმართველოს ადგილობრივი ხელისუფლება ყველგან დიდის თანაგრძნობით ხვდება აღწერის საქმეს და ჰპირდება სამმართველოს ამ საქმეში, როგორც იდეურს ისე ნივთიერ დახმარებას. აღწერაში უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღოს ქალაქების ყველა ცოცხალმა ძალებმა, განსაკუთრებით საბჭოთა მუშაკებმა, სამასწავლებლო პერსონალმა და სხვა. იმავე რწმუნებულების ცნობით ნაწილობრივ დაბრკოლებას ჰქონის მხოლოდ მიმოსვლის საშუალებათა მოუწყობლობა, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ.

◆ **ტრამვაის ახალი ხაზი.** დაიწყო წინასწარი მუშაობა, ტრამვაის ახალი ხაზის გასაყვანად კახეთის მოედნიდან ქალაქის ახალ სასაკლაოებისაკენ. ამ მუშაობისათვის ყოველდღიურად გადადებულია 1,100,000,000 მანეთი.

ფულის გაცემა. მუშათა მოსახლეობის გასაშენებლად თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ ავანსად გადადებულ 500 მილ. მანეთის ანგარიშში აღმასკომის საფინანსო განყოფილება აძლევს ყოველდღიურად ცენტრალურ საამშენებლო კომიტეტს 25,000,000 მანეთს.

◆ **მთაწმინდაზე ტყის გაშენება.** მთაწმინდაზე განზრახულია 16 დესეტინა ტყის გაშენება, რომელიც ნერგის დაცვის მიზნით, შემოღობილი იქნება ეკლიანი მავთულით. წინასწარ მუშაობის საწარმოებლად თბილისის აღმასკომის საფინანსო განყოფილება იძლევა 15,000,000 მანეთს, ქალაქის აღმასკომის მიერ ამ საქმისათვის გადადებულ 500,000,000 მანეთის ანგარიშში.

პრეზიდიუმის სხდომები. თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომა დანიშნულია კვირაში სამჯერ, ორშაბათობით დღის 12 საათზე და პარასკეობით საღამოს 8 საათზე.

ხელოვნება

ქართული დრამის სეზონის გახსნა.

წელს ქართული თეატრი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. შეიძლება ითქვას, ქართული დრამა არაოდეს არ იწვევდა ასე მომეტებულ და ცხოველ ინტერესს. და გვინდა მიმდინარე სეზონი იყოს უნაკლო, რომელიც იხსნება დღეს ნინო ნაკაშიძის ორიგინალურ პიესით: „ვინ არის დამნაშავე“. ამ პიესამ შარშან რეკორდი აიღო და ამის მიზეზი უმთავრესად იყო მისი საკმაო მიღწევებით განსახიერება. როგორც აფიშებიდან ჩანს თითქმის პარტნიორები არ შეცვლილა, და თვითვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ პიესის განსახიერებაში არის ელემენტი შარჟისაკენ გადახრის, რომელიც უსათუოთ აცილებული უნდა იქნეს.

—

— **არტურ ლეისტის იუბილე.** კვირას, 22 ოქტომბერს, კონსერვატორიის დარბაზში, გამართული იქნება არტურ ლეისტის იუბილე 40 წ. სამწ. ასპ. მოღვაწ. აღსანიშნავათ. არტურ ლეისტზე სიტყვებს იტყვიან: დამსახურებული მსახიობი ვ. გუნია და პროფესორი შალვა ნუცუბიძე. შემდეგ იუბილიარს მიმართავენ მისასალმებელი სიტყვებით სხვა და სხვა კულტურულ და საზოგადო დაწესებულებების წარმომადგენელნი. საზეიმო სხდომა გაიხსნება საღამოს სრულ 8 საათზე კოტე მაყაშვილის თავმჯდომარეობით.

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს, რუსთაველის თეატრში გაიხსნება ქართული დრამის ზამთრის სეზონი. წარმოდგენილი იქნება „ვინ არის დამნაშავე“ ნაკაშიძისა.

— **ოპერის თეატრი.** დღეს „სახელმწიფო ოპერაში წარმოდგენილი იქნება მესამეთ „სევილიელი დალაქი“ მუსიკა როსინის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

ნავთლუღის ელექტრო სადგური

ამ სადგურში მუშაობს 6 მუშა. შრომის დაცვის კანონები ნაწილობრივათ ტარდება ცხოვრებაში. მუშებს აქვთ გადადუღებული წყალი. სადგური თუმცა დიდი არ არის, მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც განუსაზღვრელია ადგილობრივ მცხოვრებთათვის. სადგური ჰიგიენურის მხრივ მშვენიერ შენობას წარმოადგენს, შენობაში დაცულია ყოველგვარი სანიტარული პირობები. მუშების ორგანიზმი არ იწამლება მოწამლული ჰაერით ისე, როგორც ეს ზოგიერთ ფაბრიკა-ქარხნებშია. მუშები ჯამაგირს იღებენ წესიერად, თვეში ორჯერ. სადგურის გამგის ძლიერ უკმაყოფილონი არიან მუშები. მათდამი მისი უდიერი მოპყრობის გამო. როგორც სჩანს, გამგეს თავისებური ყაიდაზე სურს საქმის მოწყობა. მაგრამ მის სურვილს ლაგამს უდებს მუშათა შეუდრეკელი ნებისყოფა. სპეც ტანისამოსები მუშებმა მიიღეს ნაწილობრივათ. ერთმა ნაწილმა უკვე მიიღო, ხოლო მეორე ნაწილმა რა დააშავა, არ ვიცით. მუშები გონებრივი განვითარების მხრით დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებს სტოვებენ. აქვთ სამკითხველო, სადაც ღებულობენ ყოველ გვარ გაზეთებს ზოგიერთ შემთხვევაში მუშები გაზეთებით ვერ სარგებლობენ, ვინაიდან თავისუფალი დრო ნაკლებათ აქვთ.

მოხიარულე.

გადამეტებული ერთგულება

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ დღეს ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში მუშებს შორის სწორია გაძლიერებული კულტურული მუშაობა. კულტურული მუშაობის მიზნით სასურველათ იქნა ცნობილი კოლექტიური ხელშეკრულებაში განსაკუთრებული მუხლის შეტანა რომლის ძალითაც ესა თუ ის მრეწველობა დაბეგრილი იქნებოდა ამ საქმის სასარგებლოთ 1 პროცენტიან გადასახადით. ასეთი კოლექტიური ხელშეკრულება დაიდვა ტრამვაიის მუშებსა და ქალაქის აღმასკომს შორის. იქ იყო ზემოდ ნახსენები მუხლი. ტრამვაის ექსპლოატაციის უფროსს ძალიან უჭირს ამ მუხლის შესრულება. მან გამოწერილ ორდერს ხელი არ მოაწერა. მოიგონა ხრიკები. ნუ თუ კოლექტიური ხელშეკრულება იმისათვის იწერება, რომ ის ასე ფეხქვეშ გაითელოს. ნუ თუ ქალაქის აღმასკომის კომუნალურ განყოფილების გამგის ხელის მოწერა არაა საკმაო, რომ მის ხელქვეითმა მოხელემ ის უყოყმანოთ შეასრულოს. საბჭოთა ხელისუფლებას ასეთი გადამეტებული ერდგულება არ ესაჭიროება.

ტრამვაელი.

პირველი კომისარიატის რაიონში

ამ რაიონში ხდება უსასტიკესი თვითნებობა სახლის მეპატრონეთა მუშა-მოსამსახურეების მიმართ. ადგილი ქონდა ასეთი შემთხვევას. პირველი საბჭოთა სტამბის მუშას დიდი მორალური შეურაცყოფა მიაყენა სახლის მეპატრონემ. ამასაც არ დაჯერდა და ყოველ მხრივი შევიწროება დაუწყო. ყოველივე კანონების გარეშე სახლის მეპატრონემ დახურა ჭა და ამით საშუალება მოუსპო მის სახლში მცხოვრებ მდგმურებს წყლით სარგებლობისა. გარდა ამისა ეზოში არ არის ნაგვის ჩასაყრელი ყუთი ასეთ ზომებს სახლის მეპატრონემ იმ მიზნით მიმართა, რომ აეძულებინა დაეტოვებინათ ბინა ყველა პირველი კატეგორიის მდგურებს. შემდეგ კი ბინას, რასაკვირველია თავის ნება სურვილზე გააქირავებდა, მუშამ თავზე „ხაზეინის“ ასალაგმათ მიმართა იურიდიულ ბიუროს, რომელმაც სასწრაფო ზომები მიიღო და სასამართლოში გამოვიდა მუშის ინტერესების დამცველათ.

მ. ხ.

იურიდიულ ბიუროს მოღვაწეობიდან

როგორც ვწერდით, სახლის მეპატრონეთა თავ გასულობამ უკიდურესობამდი მიაღწია. მუშა მოსამსახურენი გამოუვალ პირობებში ვარდებიან „ხაზეინების“ წყალობით და არ იციან რა ქნან. ასეთი კონფლიკტების რიცხვი სახლის მეპატრონეთა და მუშა-მოსამსახურეთა შორის ურიცხვია. გათავხედებულ ხაზეინების ასალაგმავათ არსებობს ს. პ. ს. კ. იურიდიული ბიურო. ამ ბიუროს მოღვაწეობა მრავალმხრივია მუშათა კლასის ინტერესების დაცვაში განსაკუთრებით მისი მოღვაწეობა გამოიხატება შემდეგით: უწევს უდიდეს დახმარებას მუშათა კლასს დარიგებით და დასკვნებით, მათი უფლებათა შელახვის დროს აგრეთვე, როდესაც საქმე სახალხო სასამართლომდის მიდის, აწარმოებს მუშათა კლასის ინტერესების დაცვას სასამართლოში შელახულ უფლების აღდგენისათვის. იურიდიულმა ბიურომ მუშათა ინტერესების თვალსაზრისით წარუდგინა პროფკავშირის პრეზიდიუმს პროექტი საბინაო დეკრეტის № 9 შესავსებათ. დადგენილება შემდეგი შინაარსისაა: მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთი წევრი კავშირისა არ ირიცხებიან არც კერძო და არც სახელმწიფო სამსახურში, მაგრამ თავიანთი ხელობით მუშებთან არიან დაკავშირებულნი, როგორც მაგ.: მღებრები, დურგლები და სხვა, გათანასწორებულ იქნას პირველ კატეგორიის საბინაო ქირის გადამხდელებთან. როგორც ვხედავთ ბიურო დარაჯად უდგას მუშათა კლასის ინტერესებს და ყოველი უფლების შელახვისთანავე მზათ არის მის დასაცავათ. მუშებმა კონფლიქტის წარმოშობის თანავე უნდა მიმართონ ამ დაწესებულებას შელახულ უფლების ალსადგენათ.

ახალი.

ქალაქის მ/გ. მილიციაში

1 აგვისტოდან იყო დადგენილება სახალხო კომისართა საბჭოსი, რათა მთელი მილიციის შენახვა ჩამოერთვას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს,—ვინაიდან იქიდან ოთხი თვეობით ჯამაგირს ვერ ვღირსუთ და გადაეცეს ქალაქის აღმასკომს. ამ ნაირად მოხდა მილიციის სამმართველოს რეორგანიზაცია და ნაცვლად მისი მოგვევლინა აღმასკომის სამმართველოს განყოფილება, რომელსაც, გარდა მილიციისა, დაექვემდებარა ცეცხლის მქრობელი რაზმი, სამისამართო მაგიდა, და სამოქალ. მდგომარეობის ჩასაწერი მაგიდა. მომხდარ რეორგანიზაციის შემდეგ ვფიქრობდით, რომ აღმასკომი შესძლებდა ყოველ თვიურად ხელფასის მოცემას, მაგრამ ფიქრები არ გაგვიმართლდა. მილიციის სამწყობრო ე. ი. შეიარაღებულ ძალას, როგორც არა პროფკავშირის წევრებს დაენიშნა ჯამაგირები უმაღლეს სატარიფო საბჭოს მიერ, ხოლო ადმ. ნაწილში ე. ი. კანცელიარიაში მომუშავეთ (ტეხნიკური პერსონალს) კი როგორც კავშირის წევრებს კოლექტიური ხელშეკრულების მიდხევით, რომელიც დაიდო ჩვენ კავშირის და აღმასკომის პრეზიდიუმის წარმომადგენელთა შორის პირველი აგვისტოდან პირველ ნოემბრამდე, ე. ი. სამი თვის ვადით. აღნიშნული კოლექტიური ხელშეკრულების ძალით ხელფასი უნდა მოეცა ყოველ თვე წესიერათ, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ მესამე თვეა ჯამაგირების არაფერი არ გვინახავს.

იყო მოწვეული საერთო კრება კოლექტივის წევრებისა 8 ამა ოქტომბერს, სადაც საგანგებოდ დანიშნულმა კავშირთა გამწმედ კომისიამ ჩაატარა გაწმენდა კავშირისა ყოველგვარი მავნე ელემენტებისაგან. გაწმენდაში მოსამსახურენი ცხოველ და ენერგიულ მონაწილეობას ღებულობდნენ. გაწმენდის ბოლოს სხვათა შორის იყო გამოტანილი რეზოლიუცია ჯამაგირების შესახებ, სადაც კოლექტივი მიუთითებდა აღმასკომს ხელშეკრულების დარღვევაზე—და ითხოვდა ვისგნითაც ჯერ არს სასწრაფოდ დაკმაყოფილებას, მოსამსახურენი დარწმუნებულნი არიან, რომ მათი ასეთი უმწეო გაჭირვებულ მდგომარეობას მიაქცევენ სერიოზულ ყურადღებას, როგორც ადმინისტრაცია, აგრეთვე პროფკავშირი და შრომის სახალხო კომისარიატი და სასწრაფო წესით დააკმაყოფილებენ მთელს შემადგენლობას, რითაც საშუალებას მისცემენ მათ უფრო ენერგიულათ აკეთონ თავისი საქმე.

მ. ხ.

მოსამსახურის წერილის საპასუხოთ

გაზეთ კომუნისტის № 237-ში მოთავსებულია ვინმე მოსამსახურის წერილი ფსიქიატრიულ საავადმყოფოს ანტისანიტარულ მდგომარეობაზე. ავტორი სწერს ვითომ სამზარეულოში და სამრეცხაოში ჭერი და იატაკი უსუფთაოა. ეს მტკნარი სიცრუე გახლავთ, ამიტომ, რომ სამზარეულო და სამრეცხაო სულ 3 თვე არის რაც შეაკეთეს და მუდამ სუფთათ ინახება, ამას დაამტკიცებს ის კომისიები, რომელიც ამ უკანასკნელ 3 თვის განმავლობაში 5 ჯერ მაიც ყოფილან, დაუთვალიერებიათ საავამყოფო და ყოველთვის კმაყოფილნი დარჩენილან სისუფთავით. რაც შეეხება საცხოვრებელ ბინების სივიწროვეს, ამაზედ ვიტყვი შემდეგს: თანახმად ჯანმრთელობის კომისარიატის კოლეგიის 1921 წ. 14 ივნისის თვის № 10, დადგენილებისა საავადმყოფოებში და მით უმეტეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ცხოვრების უფლება აქვთ მხოლოდ განსაზღვრულ პირთ, რომელთა საავადმყოფოში ცხოვრება აუცილებელია, მაგრამ დღევანდელ ბინის კრიზისის გამო, საავადმყოფოში ცხოვრობს 100-120 პროც.-ით მეტი, რაც, რათქმა უნდა, ჰქმნის ბინის სივიწროვეს. მიუხედავათ იმისა, რომ საექიმო და სასანიტარო დარგში მომუშავეთა პროფკავშირიც და შრომის ინსპექციაც ზრუნავს ასეთ პირთათვის ბინის აღმოჩენაზედ, დღემდის მათი ცდა ისევე ბინის კრიზისის გამო, უნაყოფოდ რჩება. და თუ ამხანაგი „მოსამსახურე“ დაეხმარება მათ კერძო ბინის აღმოჩენაში, ადმინისტრაცია და ადგილკომიც დახმარებას გაუწევს მას.

სამნეო ნაწილის გამგე **ნ. გიორგობიანი.**

პასუხი სამნეო ნაწილის გამგეს

ფსიქიატრულ საავადმყოფოს სამნეო ნაწილის გამგეს უნდა მოეხსენო, რომ ის იმ კომისიების შესახებ, რომელსაც თურმე ეს საავადმყოფო ამ უკანასკნელ 3 თვის განმავლობაში ხუთჯერ დაუთვალიერებია, ერთობ ზეპირათ მსჯელობს. ერთი ასეთი კომისიის დათვალიერების ფურცელი ამ ჟამად ჩვენს ხელთაა და ის იმას ამბობს, რაც ჩვენს წერილში იყო აღნიშნული. ამ კომისიაში მონაწილეობას იღებდა ასეთ საქმეში კომპეტენტური პირები როგორიცაა შრომის ინსპექტორი, შრომის დაცვის ტეხნიკურ. სანიტარულ განყოფილების წარმომადგენელი და სხვა. ამ კომისიამ ხსენებული დეფექტები ჩამოწერა ცალკე ქაღალდზე და საავადმყოფოს ადმინისტრაციას გადასცა, რომ ის გასწორებულ იქნას. ასეთი გულმავიწყობის გამოჩენა სამნეო ნაწილის გამგეს არ ეპატიება.

მოსამსახურე.

მოიჯარადრე სიროშკინის მამულში

ეს მამული იმყოფება ყარაიაზის რაიონში. მამულში მუშაობს 50 მუშა, თვით მოიჯარადრე ცხოვრობს ტფილისში და დრო გამოშვებით თუ ესტუმრება მამულს. ამ ჟამად მუშაობის სეზონი უკვე დამთავრებულია და მუშები წასულნი არიან თავ თავიანთ სახლში. მხოლოდ სამუშაოზე იმყოფება მცირედი რიცხვი მუშებისა, 12 კაცი, თივების დამტკეც განყოფილებაში. დარჩენილ მუშების მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია. არ არის დაცული მათდამი შრომის დაცვის კანონები. მუშაობენ მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე. სამუშაო აღებული აქვთ ნარდათ. შრომის ხელფასს ძლიერ მცირეს იღებენ. საექიმო დახმარებას მუშებს არ უწევენ, გარდა ისეთ შემთხვევებსა, როდესაც თვითონ არ გაემგზავრებიან სადგურ ყარაიაზში, სადაც არის ფელშერი. ჰიგიენურ პირობების დაცვაზედ ლაპარაკიც ზედმეტია. არა აქვთ სპეც-ტანისამოსი, რის გამოც მუშაობას უდგებიან თავიანთი კერძო ტანისამოსით. არა აქვთ გადადუღებული წყალი, პირსაბანი და პირსახოცი. გონებრივის მხრივ მუშები ძლიერ ჩამორჩენილნი არიან. იშვიათად თუ წაიკითხავენ გაზეთებს. არც ბინის მხრით არიან კარგ პირობებში.

ხ. მ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **ს. კ. პ. ახალი რეგისტრაციის, გაწმენდის და შემოწმების** ცენტრალური კომისია აცხადებს, რომ კომისიის ფუნქციებში არ შედის შუამდგომლობათა განხილვა იმ პირთა პარტიის წევრობის უფლების აღდგენის შესახებ, რომლებიც გამორიცხული არიან პირველი გაწმენდის, ან საკონტროლო კომისიების მიერ.

იმ ამხანაგებს, რომელთაც სურთ იზრუნონ თავიანთ უფლებების აღდგენის შესახებ, სთხოვენ თავი შეიკავონ ცენტრალურ შემმოწმებელ კომისიისათვის ასეთი განცხადებების წარდგენიდან.

ასეთი განცხადებები საერთო წესით განიხილება რუსეთის კომპარტიის ცეკას ცირკულიარის თანახმად.

ცენტრალური შემმოწმებელი კომისია.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-4 ე რაიკომი იტყობინება, რომ ა. წ. 18 ოქტომბრიდან მეცადინეობა რაიკომში წარმოებულ იქნება დღის 9—1 საათზე და საღამოს 5—7 საათზე.

—**საქართველოს კომპარტიის წევრთა და კანდიდატთა გაწმენდის მე-4 რაიონის გამწმენდი კომისია** ამით აცხადებს რომ იგი შეუდგა მუშაობას 16 ოქტომბერს.

ყველა იაჩეიკებს ევალება მოაწესრიგოს პარტიის წევრთა პირადი საქმეები და დაუყოვნებლივ წარადგინოს სარაიონო კომისიაში.

იაჩეიკის გაწმენდის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბრალდებები, განცხადებები და მასალები კომპარტიის წევრთა შესახებ მიიღება სარაიონო კომისიის მიერ მე 4 რაიკომის ბინაზე (რუსთაველის პროსპ. № 22) ამხ. უპარტიოებს ვსთხოვთ მიიღონ მონაწილეობა იაჩეიკების სხდომებზე გაწმენდის დროს.

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი** განმეორებით და დაჟინებით სთხოვს ყველა იმ პარტიულ ამხანაგებს, რომელთაც უმუშავნიათ ან მუშაობენ განათლების, ლიტერატურის, კულტურის და ხელოვნების დარგში გატარდენ რეგისტრაციაში ტფილისის კომიტეტის საუწყო სტატისტიკურ ქვე განყოფილებაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ის ამხანაგები, რომელნიც არ გატარდებიან რეგისტრაციაში 25 ოქტომბრამდე სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი პარტიულ დისციპლინის მიხედვით.

პროფესიონაული

— კვირას ოქტომბრის 22 (დიდების ტაძარში, რუსთაველის პროსპექტი № 13) შესდგება ქართველ მხატვართა კონფერენცია. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) კავშირის უფლებები, 2) ფინანსები, 3) გამომცემლობა, 4) გამოფენების მოწყობა, 5) წესდების განხილვა, 6) დელეგატების არჩევა ხელოვანთა მთავარ კომიტეტში და სხვა.

კრების მომწვევი კომისია სთხოვს თფილისში მყოფ ქართველ მხატვრებს კრებას დაესწრონ უსათუოდ.

— **ქიმიურ მრეწველობის კავშირი** წინადადებას აძლევს კავშირის ყველა უმუშევარ წევრებს გავიდნენ რეგისტრაციაში. (კავშირის ბინა—შრომის სასახლე. ოთახი № 31).

რეგისტრაცია სწარმოებს 16 ოქტ. 25 ოქტომბრამდე—5—7 საათამდის.

ვინც არ გაივლის ამ რეგისტრაციას—ჩაითვლება კავშირიდგან გასულად.

— მელითონეთა კავშირი აცხადებს ყველა იმ წევრთა საყურადღებოთ, რომლებიც მუშაობენ კერძო დაწესებულებებში, გამოცხადნენ ხელახლად რეგისტრაციაზე 23 ოქტომბერს დილის 10 საათზედ (მე 3 სართული ოთახი № 27).

ყველა უმუშევარ კავშირის წევრებს ევალებათ გამოცხადნენ კავშირში ხელახალ რეგისტრაციაზედ 24, 25, 26, 27, 28, 29 და 30 ამ წლის ოქტომბერს. ვინც ზემო აღნიშნულ რიცხვებში არ გამოცხადდებიან ჩაითვლებიან კავშირიდან გამორიცხულათ.

განცხადებები

ამა წლის ოქტომბრის 22-ს შუადღის 1 ნახ. საათზე, ნაძალადევის ეკლესიის გალავანში საფლავზე, მიტროპოლიტ ნაზარის მიერ გადახდილ იქნება **წლის თავი**

ანეტო დვალიძის ასულის ჩიქოვანისა,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, განსვენებულის მეუღლე დავით გიორგის ძე ჩიქოვანი, მშობლები ბესარიონ და მარიამ დვალიძენი შვილებით: ლევანით, თამარით და ქეთევანით და დეიდა ვარო ანდრიას ასული მეუღლით დავით სვიმონის ძე არჯევანიძით. (440—2—2)

ტფილისის ვაჭრები მწუხარებით აუწყებენ

მიხეილ გიორგის ძის აბაშიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი გადახდილი იქნება ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში კვირას 22 ოქტომბერს დილის 12 საათზე. (441—1—1)

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

შაბათს 21 ოქტ.

სევილიელი დალაქი

ოპერა 3 მოქმედ. მუს. როსინისა.

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

(კრ. 422—1—1)

რუსთაველის თეატრი

სეზონი 1922—1923 წ.

სახელმწიფო აკადემიური დრამა

სეზონის გახსნა

შაბათს, ოქტომბრის 21 ს ნ. ნაკაშიძის

ვინ არის დამნაშავე?

4 მოქმედებად.

დადგმა ალ. წუწუნავასი. ✱ დასაწყისი სრულ 8 საათზე.

კვირას **გუშინდელნი**

(კრ. 418—2—2)

ქ. თბილისის აღმასკომის გადასახადთა

ბიურო

აცხადებს, რომ სამშაბათს, 23 ოქტომბერს დღითი 12 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა:**

1) ბაკზე, მდებარე პოდვოდნი შესახვევ № 6 და 2) **ვერის ბორანზე.**

პირობების გაგება შეიძლება 50 ოთახში საიჯარო მაგიდის გამგე—**მ. დარახველიძესთან.** (კრ. 425—2—1)

ტფილისის სასოფლო-სამეურნეო

საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭო

იუწყება, რომ 22 ოქტომბერს, დილის 11 საათზე

მის ყოფილ შენობაში (სასახლის ქუჩა № 6) დანიშნულია წევრთა

საერთო კრება

დღის წესრიგი:

1) საბჭოს მოხსენება საზოგადოების მოქმედების განახლების შესახებ და მიმდინარე საქმეები.

2) განხილვა და დამტკიცება მომავალი საოპერაციო წლის ხარჯთაღრიცხვისა.

3) არჩევნები საბჭოს წევრების, გამგეობის და სარევიზიო კომისიისა.

საბჭოთა საქართველოს შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი

სთხოვს ყველა თეატრების (გარდა სახელმწიფო თეატრებისა) კლუბების, (იმ კლუბების სადაც არის სცენა ან კინემატოგრაფი), კინემატოგრაფების და ცირკების გამგეებს, ამა განცხადების დღიდან 7 დღის განმავლობაში, აცნობონ შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის ცეცხლის ქრობის განყოფილებას ხსენებულ დაწესებულებათა სწორი მისამართები, მათი ცეცხლის გაჩენის მხრივ დათვალიერების რიგის შესამუშავებლად.

საქმეთა მმართველი **ჩიქოვანი.**

კომუნალურ განყოფილების გამგე **ნანეიშვილი.**

თეატრების ცეცხლის გაჩენის მხრივ დათვალიერების კომისიის თავმჯდომარე **მახსი.**

(420—2—2)

შაბათს 21 ოქტომბერს ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება

მორიგი სხდომა აღმასკომის საბჭოსი

დღის წესრიგი

1. მოხსენება აღმასკომის განათლების განყოფ.
2. მამა-დავითის მთაზე ტყის გაშენებაზე და სხვა.

დასწრება ყველა წევრებისათვის სავალდებულოა თავის დროზე.

(1—1—424)

კვირას, ა. წ. ოქტომბრის 22 ს დილის 12 საათზე

დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირის სააუქციონო დარბაზში

პლეხანოვის პრ. № 83 დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

შემდეგ ნივთებზე

1. ფოტოგრაფიული ნივთები და მასალები, 2. ჩულქების საქსოვი მანქანებ, 3. შრიფტები რუსული, 4. ავტომობილის დაშლილი ნაწილები, 5. როიალ, 6. ლურჯი ქიმიური საღებავი, 7. საყინულე, 8. ვენტილიატორი და სხ

433—3—3

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს

„ცენტროტრამოტი“

აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებისა

გაუქმებულია

საგანგებო სამეული სადგურზე

და ყველა ფუნქციები გადაზიდვისა გადადის „ცენტროტრამოტი“-ს კომპეტენციაში.

ცნობა: დამოკიდებულია № 8021 27 სექტემბერი 1922

(კრ. 417—3—3) **„ცტმო“.**

თანახმად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებისა ევალება ქვემოაღნიშნულ პირთ დაუყოვნებლივ გამოცხადდენ საქ. ცენტროევაკის განყოფილებაში მათგან ზოგიერთი ცნობების მისაღებათ.

ეს პირნი არიან:

1) **ბარამიძე**—ყოფილი გამგე მცხეთის საექიმო—გამოსაკვებ პუნქტის
2) **ბეჟოევი**—ხაშურის პუნქტის ყოფილი გამგე.
3) **გაკოხიძე**—ცენტროევაკის ყოფილი თანამშრომელი.
4) **ეგოროვი**—თელავის პუნქტის ყოფილი გამგე.
5) **ივანოვი**—ბათომის რაიევაკის ყოფილი გამგე.
6) **ჩიქოვანი გრ. ელიზბარის ძე**—აშაგა-სერალის პუნქტის ყოფილი გამგე.

კრ. 416 3—3

ქართული შეერთებული სამხედრო სკოლა

ამით აცხადებს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ამა წლის 1 დეკემბრიდან სკოლა გადადის ნორმალურ ტიპზედ 3 წლიან კურსით და განყოფილებებით:

ქვეითა, ცხენოსანი, საარტილერიო, სამხედრო-საინჟინერო, ამასთანავე ყველა ახლად შემოსული ჩაირიცხება სკოლის უმცროს კლასში.

სკოლაში მიიღება ყველა მშრომელი, ფიზიკურად ჯანსაღი 18 წლიდან—28 წლამდე, რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

1) ა. გამოცდების ჩაუბარებლივ მოქალაქენი, რომელთაც დაამთავრეს მთლიანი შრომის სკოლა ან აქვთ განათლების ცნობა ამ სკოლის თანასწორი ან და მასზე უმაღლესი.

ბ. საგანგებო გამოცდებით ის მოქალაქენი, რომელთაც დაუმთავრებელი აქვთ მთლიანი შრომის სკოლა.

2) ყველა მოქალაქეთათვის, რომელთაც სურთ სკოლაში შესვლა, აუცილებლივ საჭიროა ქართულ ენის მტკიცე ცოდნა.

3) სკოლაში შესვლის მსურველნი აძლევენ განცხადებას სკოლის უფროსის სახელზედ. განცხადებას უნდა დაერთოს მოწმობა სწავლა განათლებისა და მიღების დროს რომელიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციის რეკომენდაცია. უპირატესობა ეძლევათ წითელ არმიელებს პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებიდგან გამოგზავნილთ.

4) სკოლაში მიღება დაიწყება ამა წლის 15 ნოემბრიდან და გაგრძელდება 1 დეკემბრამდის, რის შემდეგ თხოვნები აღარ მიიღება.

7—4 სკოლის უფროსი კომისარი **ტალახაძე.**

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა. კრუზენშტერნის ქ. № 4.